პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 299 (13115)

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

შეპატაკებენ სამშობლოს

△ ყვარლის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ზაუტაშვილმა და საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. უნგიაძემ რედაქციას აცნობეს, რომ საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს, მარცვლეულის, ეთერზეთოვანი კულტურებისა და აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმები.

ნაცვლად 3.800 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 3.807 ტონა თამბაქო. 5.200 ტონის ნაცვლად 5.307 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, ხოლო 14.000 ტონის ნაცვლად — 15.652 ტონა მარცვლეული. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა აგრეთვე ათობით ტონა აბრეშუმის პარკი.

△ ლენინგორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა მარგიევმა და საწარმოო სამმართველოს უფროსმა დარსაველიძემ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მატყლისა და კვერცხის დამზადების წლიური გეგმები. 2.870 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.871 ცენტნერი მატყლი, ხოლო კვერცხი ნაცვლად 450.000-სა — 456.000 ცალი.

საახალწლო ნობათი

12 დღით ადრე

ბათუმი, 22 დეკემბერი. დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ბათუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა — ვადაზე 12 დღით ადრე შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების 1964 წლის დავალება. წლის დამლევამდე წინა ნაკისრ ვალდებულებათა გადამეტებით გადაწყვიტეს გამოუშვან კიდევ 500 ათასი მანეთის პროდუქცია. სამშობლო დავალების გადამეტებით მიიღებს დიდძალ ნავთობპროდუქტებს, მანქანებსა და მოწყობილობას კვების მრეწველობის საწარმოებისათვის, ფეხსაცმლის, თამბაქოსა და რძის ნაწარმს, ხილის კონსერვებს, ქიმიკატებსა და მედიკამენტებს. (საქდესი).

ტორფი გეგმის გადამეტებით

ტრესტმა „საქტორფმა" 1 დეკემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. სასაქონლო პროდუქციის დავალება განაღდებულია 1,6 პროცენტის გადამეტებით.

ახლა ფოთის, ქობულეთისა და ზუგდიდის ქარხნებში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები მომავალი სამეურნეო წლისათვის, რაშიაც მათ დიდ დახმარებას უწევენ ტორფის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

გ. კომახიძე.

პრესის მუშაკთა დიდი ამოცანები

საბჭოთა პრესა ნამდვილად სახალხო, მასობრივი პრესაა. წლითიწლობით დიდდება ჩვენი გამოცემების ტირაჟი, სულ უფრო იზრდება გაზეთებსა და ჟურნალებზე ხელისმომწერთა რიცხვი.

ამასთანავე მაღლდება საბჭოთა პრესის მუშაკთა პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. კომუნისტური პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პრესას როგორც უაღრესად ბასრ იდეურ იარაღს, როგორც კოლექტიურ აგიტატორს, პროპაგანდისტსა და ორგანიზატორს. ჩვენს დროში, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ეს როლი განსაკუთრებით დიდია.

ჩვენი პრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეუნელებელი ყურადღება ეკონომიკის განვითარების, ახალი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პრობლემისადმი ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინი მოგვიწოდებდა გადაგვექცია პრესა მასების ეკონომიური აღზრდის სერიოზულ ორგანოდ. საბჭოთა პრესა განუხრელად ახორციელებს ლენინის ამ ანდერძს. როგორც წესი, პრესის ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მასალებს ეკონომიურ, სამეურნეო თემებზე.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ქვეყანა შეეგებება ახალ წელს, შვიდწლედის უკანასკნელ წელს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო, დასახულია დიდი ეკონომიური ამოცანები, წინსვლის ახალი მიჯნები. გეგმის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ მასში მთავარი ყურადღება ეთმობა არა მარტო წარმოების რაოდენობრივ ზრდას, არამედ თვისებრივ მხარესაც, წარმოებისა და კაპიტალდაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის გადიდებას, სწრაფ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და ჩვენი მეურნეობის შინაგანი რეზერვების ყოველი ღონისძიებით გამოყენებას. ღრმად, საქმის ცოდნით რომ გააშუქონ ეს საკითხები პრესის ფურცლებზე, მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, მოწინავეს გაბედულად გამოავლინონ ნაკლოვანებანი, საბჭოთა ჟურნალისტები ღრმად უნდა სწვდებოდნენ წარმოების საქმეებს, სწავლობდნენ კონკრეტულ ეკონომიკას, იყონ ტექნიკურ სიახლეთა კურსში.

პრესა მოწოდებულია აქტიურად იბრძოდეს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. გაზეთები გადაჭრით უნდა გამოდიოდნენ წუნისმკეთებელთა წინააღმდეგ, იბრძოდნენ ნაწარმის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო ხარისხისათვის. ეს არის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

საგულისხმოა სვერდლოვსკის გაზეთ „ურალსკი რაბოჩის" პრაქტიკა. იგი ფართოდ აშუქებს წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხებს, დიდ ყურადღებას უთმობს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პროპაგანდას, რაც ფართოდ ინერგება შუა ურალის მოწინავე საწარმოებში. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას მიუძღვნა მთელი რიგი დიდი სტატიები „ლენინგრადსკაია პრავდამ".

ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენს გაზეთებში გაუმართლებლად ცოტა ყურადღება ეთმობოდა ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციას კი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა პრესის მოვალეობაა მიაპყროს საზოგადოებრიობის ყურადღება მომსახურების სფეროს, გამოიყენოს წარმოების საკითხების გაშუქების მდიდარი გამოცდილება.

ჩვენი პარტია დაუცხრომლად ზრუნავს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, კერძოდ დაგეგმვისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგების აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის, მისი ცალკეული დარგების მართვაში პარალელიზმისა და მრავალსაფეხურიანობის აღმოფხვრისათვის და ა. შ. ეს ორგანიზატორული მუშაობა იწარმოებს მოფიქრებულად, წინდახედულად, დინჯად და აუჩქარებლად. ჩვენი პრესის გამოსვლები სახალხო მეურნეობაში მომუშავე ხელმძღვანელ კადრებს უნდა ზრდიდნენ პარტიული პრინციპულობის, თავმდაბლობის, პროჟექტიორობისადმი, ყბედობისა და პარადულობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთებში კადრების პარტიული აღზრდის საკითხები, ისევე როგორც საერთოდ პარტიული ცხოვრების გაშუქება, არსებითად იმით განისაზღვრებოდა, რომ იბეჭდებოდა ანგარიშები ყრილობების, კონფერენციებისა და კომიტეტების პლენუმების შესახებ. სუსტად აშუქებენ პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას გაზეთები „კომუნისტ ტაჯიკისტანა", „ომსკაია პრავდა", ნიკოლაევის „იუჟნაია პრავდა".

ბევრ საოლქო და სამხარეო გაზეთში იმის გამო, რომ პარტიული ორგანიზაციები დაიყო სამრეწველო და სასოფლო ორგანიზაციებად, პარტიული ცხოვრების განყოფილებებიც კი გააუქმეს. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს პრესაში პარტიული ცხოვრების გაშუქებაზე. საჭიროა მთლიანად აღვადგინოთ გაზეთებში პარტიული ცხოვრების განყოფილება, უფრო ფართოდ, მიზანსწრაფულად დავაყენოთ პარტიული მუშაობის საკითხები გაზეთების ფურცლებზე.

ზოგიერთი გაზეთი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის პრობლემებს. ახალი საზოგადოების მშენებლობის ამოცანები კი მოითხოვს, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური მუშაობა. კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდა იმას ნიშნავს, რომ ჩავუნერგოთ მათ ისეთი ზნეობრივი თვისებები, როგორიც არის მაღალი პრინციპულობა, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი დოვლათის მოფრთხილება და ზრუნვა მისი გამრავლებისათვის.

ცოტას და ზერელედ, საქმის არსის გაუშუქებლად წერს ბევრი გაზეთი სოციალისტურ შეჯიბრებაზე, კომუნისტური შრომისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაზე. კომუნისტური შრომის საუკეთესო კოლექტივებისა და დამკვრელების გამოცდილება სისტემატურად და მკაფიოდ უნდა შუქდებოდეს პრესაში.

მასების შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერება, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება ჩვენი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა. საბჭოთა პრესის მუშაკების წინაშე დგას მასების თვითმოქმედების, საზოგადოებრივი საქმეების გადაჭრაში მათი მონაწილეობის ყველა ფორმის ფართოდ გაშუქების ამოცანა.

პრესა ჩვენს ქვეყანაში თავისთავად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ინსტიტუტია. სიტყვის თავისუფლება, გაზეთში გამოსვლის ხელშეუვალი უფლება საბჭოთა ადამიანების ერთ-ერთი რევოლუციური მონაპოვარია. პრესის მუშაკთა ამოცანაა დაეხმარონ მშრომელებს საინტერესოდ და მკაფიოდ გამოვიდნენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მათს კრიტიკულ სიგნალებს, საყურადღებო წინადადებებს.

ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების შემდგომი გაუმჯობესების გზაა აქტივის ფართოდ მოზიდვა. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ლენინის მოთხოვნა, რომ თვითეულ პროფესიულ ლიტერატორზე, ჟურნალისტზე მოდიოდეს ასობით და ათასობით ნებაყოფლობითი თანამშრომელი, მუშა და სოფლის კორესპონდენტი.

უკანასკნელ ხანს გაზეთების ფურცლებზე სულ უფრო ხშირად და მეტი ქვეყნდება მკითხველთა წერილები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წერილები, თუ მათ კარგად შევარჩევთ და მოვამზადებთ დასაბეჭდად, ალამაზებენ და აცხოველებენ ნომერს, უფრო შინაარსიანს, საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდიან მას.

ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა დაუცხრომელი ბრძოლა პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების განუხრელად დაცვისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის, ადამიანებისადმი, საბჭოთა კანონისადმი უდიდესი პატივისცემის სულისკვეთებით კადრების აღზრდისათვის. სამწუხაროდ, იშვიათად შეხვდებით მწვავე კრიტიკულ გამოსვლას სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიაში", ვოლოგდის გაზეთ „კრასნი სევერში".

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბრძოლას გამოსვლათა ქმედითობისათვის. პრესის არც ერთი კრიტიკული გამოსვლა, არც ერთი კრიტიკული სიგნალი არ უნდა დარჩეს უპასუხოდ, ისე, რომ არ მოჰყვეს დაუყოვნებლივი, ქმედითი ღონისძიებანი.

საბჭოთა პრესის მუშაკებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ ხალხის ნდობით. საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ, რომ გაზეთისა და ჟურნალის ყოველი ნომერი შინაარსიანი, მრავალფეროვანი, საინტერესო, მკაფიოდ გაფორმებული იყოს, რომ ყოველი გამოსვლა, — სტატია იქნება ეს, კორესპონდენცია, ნარკვევი, ფელეტონი თუ ინფორმაცია, აღვიძებდეს აზრებსა და გრძნობებს, დაწერილი იყოს თვითეული ადამიანისათვის გასაგები, კარგი და ლამაზი ენით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის პროგრამაში აყენებს დიად ლოზუნგს—ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის! ეს ლოზუნგი წმიდათა-წმიდა დევიზია ჩვენი პრესისათვისაც, თვითეული საბჭოთა ჟურნალისტისათვის.

ПРАВДА

22 დეკემბრის მოწინავე

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს მოკრიფა 360 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მაგრამ აი დაცარიელდა ჩაის პლანტაციები, ახლა ჯერი მეციტრუსეებზე მიდგა. ოქროსფერი ნაყოფით დაიხუნძლა ხეები.

მიღებულია უხვი მოსავალი. კოლმეურნეები ვარაუდობენ გადააჭარბონ გეგმას. მათ იკისრეს თვითეულ ჰექტარზე მოკრიფონ 20 ცენტნერი ნაყოფი. სულ აქ დაამზადებენ 100 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს.

ზემო სურათზე: ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეციტრუსე ელენე აბშილავა, რომელიც დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

განუწყვეტლივ ფართოვდება სამუშაოთა ფრონტი ამიერკავკასიაში უდიდესი ჰესის — ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. უკვე მთლიანად დამთავრებულია წყალგადასაშვები გვირაბის მშენებლობა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მისი ფსკერისა და კედლების მობეტონება.

მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივი ამაყობს თავისი ადამიანებით. ბევრი მათგანი აქ კომკავშირული საგზურით მოვიდა მათ შორის არიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომანტი იოსებ სუმბაძე, რომელიც ცვლის ოსტატად მუშაობს და კომკავშირელი ნუგზარ გოგოხია, რომელიც აქ არმიიდან დემობილიზების შემდეგ მოვიდა.

სურათზე: ენგურჰესის მოწინავე მშენებლები ი. სუმბაძე (მარცხნივ) და ნ. გოგოხია.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ულოცავენ გამარჯვებას

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების, კუიბიშევის სინთეზური კაუჩუკის ქარხნისა და ვოლჟსკის ქიმიური კომბინატის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს დიდი შრომითი გამარჯვება კუიბიშევისა და ვოლჟსკის სინთეზური კაუჩუკის ქარხნებში უკვე აშენდა და ამუშავდა იზოპრენის კაუჩუკის მსხვილი საწარმოები ვოლჟსკის ქიმიურ კომბინატში საექსპლოატაციოდ გადასცეს სალტის ახალი ქარხანა და მეტიონინის — ფრინველის ზრდის ბიოლოგიური სტიმულატორის საწარმო.

მისალმებაში ხაზგასმულია: ეს მიღწევები იზოპრენის კაუჩუკის, საავტომობილო სალტეებისა და მეტიონინის საწარმოთა მშენებლობასა და ათვისებაში ღირსეული წვლილია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისა და სსრ კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პრაქტიკული განხორციელების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ კუიბიშევის სინთეზური კაუჩუკის ქარხნისა და ვოლჟსკის ქიმიური კომბინატის კოლექტივები სწრაფად აითვისებენ ამოქმედებულ საწარმოთა საპროექტო სიმძლავრეებს, მშენებლები და მემონტაჟეები კი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა ვადამდე ჩააყენონ მწყობრში „დიდი ქიმიის" ახალი ობიექტები. (საქდესი).

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება 1964 წლის 25 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი 24, ტელეფონი: 3-08-54 და 3-37-63.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა შედგება 25 დეკემბერს, დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

ჩვენი დიდი სამშობლო

„რუსული ზამთრის" ფესტივალის წინ

პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში

◆

225 ათასი საბჭოთა მაყურებელი და 20 ათასი უცხოელი იყო მიმდინარე წლის ხელოვნების სამ ფესტივალზე—„მოსკოვის ვარსკვლავები", „თეთრი ღამეები" და „დნეპრის ცისკარი", რომლებიც მოეწყო მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში. ეს ფესტივალები ჯერ ახალი საქმეა. მათ არა აქვთ მყარი ტრადიციები, მაგრამ ისინი უკვე დამკვიდრდნენ საბჭოთა კავშირის მუსიკალურ-თეატრალურ ყოფაში, მათ გამოეხმაურა მრავალი უცხოელი სტუმარი. 25 დეკემბერს მოსკოვში დაიწყება ხელოვნების ახალი ზეიმი-ფესტივალი „რუსული ზამთარი". ამ ფესტივალზე ესაუბრა 21 დეკემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესის წარმომადგენლებს სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა.

ხელოვნების ზამთრის დღესასწაული ითვალისწინებს მრავალფეროვან და საინტერესო პროგრამას.

ფესტივალის გახსნის დღეს კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე დაიდგმება დიდი თეატრის სახელგანთქმული სპექტაკლი — ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა". დიდ თეატრში ამ დღეს მაყურებლები მოისმენენ მუსორგსკის ოპერა „ხოვანშჩინას". ხოლო კრემლის თეატრის სცენაზე დღესასწაულის დღეებში ნაჩვენები იქნება სამხატვრო და მცირე თეატრების, ვახტანგოვის სახელობის თეატრისა და მოსკოვის საქალაქო საბჭოს თეატრის სპექტაკლები.

მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში პირველად შესრულდება დიმიტრი შოსტაკოვიჩის სიმფონიური პოემა „სტეფანე რაზინის დასჯა". ამ პოემის ტექსტი ევგენი ევტუშენკოს ეკუთვნის, შესრულდება კომპოზიტორ ანდრია ეშპაის მესამე სიმფონია რე მინორი. სიმფონიური ორკესტრების გარდა, კონცერტებში გამოვლენ სახელგანთქმული მუსიკოსები, ლენინური პრემიის ლაურეატები — სვიატოსლავ რიხტერი, დავით ოისტრახი, მსტისლავ როსტროპოვიჩი. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ქორეოგრაფიული ანსამბლები, მოსკოვის ცირკის მსახიობები.

ხელოვნების ფესტივალები 1965 წელსაც მოეწყობა. 1965 წლის ფესტივალი „მოსკოვის ვარსკვლავები" ეძღვნება პ. ი. ჩაიკოვსკის შემოქმედებას, რომლის დაბადების 125 წლისთავი სრულდება მომავალ წელს. მოსკოვის სცენებზე მაყურებლები ნახავენ სახელგანთქმული კომპოზიტორის საბალეტო ტრილოგიას, მოისმენენ მის ოპერებს.

საბჭოთა ფიზიკოსმა მიიღო საერთაშორისო ჯილდო

მოსკოვი, 21 დეკემბერი. (საქდესის კორ.). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში აკადემიკოს პეტრე ლეონიდეს ძე კაპიცას საზეიმოდ გადაეცა დიპლომი მისთვის ნილს ბორის სახელობის ოქროს მედლის მინიჭების შესახებ.

— კმაყოფილი ვართ, რომ დღეს ჩვენთან არიან დანიელი მეგობარი მეცნიერები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს აკადემიკოს პ. ლ. კაპიცას შრომას და დააჯილდოვეს იგი დიდი დანიელი ფიზიკოსის ნილს ბორის სახელობის ოქროს მედლით, — თქვა დიპლომის გადაცემის დროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

დანიის ინჟინერთა საზოგადოების პრეზიდენტმა ბატონმა პოლ მალმსტრემმა აკადემიკოს პ. ლ. კაპიცას თავისი კოლეგების სახელით გულითადად მიულოცა დაჯილდოება და საბჭოთა მეცნიერი მიიპატიჟა კოპენჰაგენში, სადაც ტრადიციით დანიის მეფე გადასცემს ნილს ბორის სახელობის ოქროს მედალს.

ნ. ბორის სახელობის ოქროს მედალი ენიჭებათ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქეებს — მეცნიერებსა და ინჟინრებს მშვიდობიანი მიზნით ბირთვული ფიზიკის მიღწევების განვითარებასა და პრაქტიკულ გამოყენებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

რკინიგზელთა წარმატება

ქუთაისი. (საქ. კორ.). ლენინაკანელ და კიროვაბადელ თანამოსაქმეებთან შეჯიბრებაში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა რკინიგზის სადგურ ქუთაის-II-ის კოლექტივმა.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა 28 ნოემბრისათვის შეასრულეს დატვირთვის, ხოლო 3 დეკემბრისათვის — გადმოტვირთვის წლიური გეგმა. განვლილ პერიოდში თვითეული ვაგონის მოცდენა ნორმასთან შედარებით 6 წუთით შეამცირეს, ხოლო ადგილობრივი შემოსავლის წლიური გეგმა 160 პროცენტით განაღდეს. ვაგონების მოცდენის შემცირებით მიღებულია 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის და იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის ზევით დატვირთონ და გადმოტვირთონ ათასობით ვაგონი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. მათი გადაწყვეტილებაა 1965 წლის პირველი კვარტალის დავალება ვადამდე თვენახევრით ადრე შეასრულონ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

22 დეკემბერს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1964 წელი) პლენუმისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებანი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლ. ხანაკოევმა**, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა **რ. სარიშვილმა**, ყვარლის საწარმოო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **შ. კაპანაძემ**, მარნეულის სამრეწველო-საწარმოო კომკავშირული კომიტეტის მდივანმა **თ. პეტრიაშვილმა**, მახარაძის საწარმოო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **ი. მგალობლიშვილმა**.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. ა. როდიონოვმა**.

პლენუმის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ" და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის შესაბამისი დადგენილება, რომელთა მიზანია პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება კომუნისტურ მშენებლობაში, კომკავშირის საქმიანობის გააქტიურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა შესრულების საქმეში.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებისა და მთის რაიონების კომკავშირის კომიტეტები გარდაიქმნას კომკავშირის რაიონულ კომიტეტებად, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას, მათ შორის მოცემული რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების კომკავშირულ ორგანიზაციებს.

პლენუმმა გადაწყვიტა აგრეთვე გაუქმდეს სამრეწველო საწარმოო კომკავშირული კომიტეტები, რომლებიც წინათ იყო შექმნილი საქართველოს სასოფლო რაიონების ტერიტორიაზე.

1965 წლის იანვარში დასახულია მოეწყოს საანგარიშო-საარჩევნო და საარჩევნო რაიონული კომკავშირული კონფერენციები. (საქდესი).

უკანასკნელი საათი

ულბრიხტი: ბონის გეგმა საზარელი პროვოკაციაა

ბერლინი, 22 დეკემბერი. (საქდესი). ქალაქ ზულში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა. მან განაცხადა, რომ ბონის გეგმამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებთან „ატომური ნაღმების სარტყლის" შექმნის შესახებ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის მძაფრი პროტესტი გამოიწვია.

ეს საზარელი პროვოკაცია, თქვა მან, მჭიდროდ არის დაკავშირებული ბონის მოთხოვნასთან გერმანიის 1937 წლის საზღვრების აღდგენის შესახებ.

მილიარდები ნატოსათვის

ბონი, 22 დეკემბერი. (საქდესი). მას შემდეგ, რაც დასავლეთი გერმანია ნატოში შევიდა, ბონმა უზარმაზარი სახსრები გაიღო ამ აგრესიული ბლოკის სამხედრო მზადების დასაფინანსებლად. თანახმად აქ გამოქვეყნებული დასავლეთ გერმანიის ფინანსთა სამინისტროს წლიური ანგარიშისა, 1955 წლიდან, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოში შევიდა, 1964 წლამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხარჯებმა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საჭიროებისათვის შეადგინა 133 მილიარდი მარკა. ეს თანხა ერთიორად და მეტად აღემატება დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს ახლანდელ წლიურ ბიუჯეტს.

კაპიტალისტურ პრესაში ქვეყნდება ბევრი მასალა ეგრეთწოდებული მრავალმხრივი ატომური ძალებისა და დასავლეთ ევროპის ატომური ძალების შესახებ. ჩეხოსლოვაკიური იუმორისტული ჟურნალი „დიკობრაზი" გვიჩვენებს, სად შეიძლება მიიყვანონ იმპერიალისტები ამ „ძალებმა". ორივე „ისარი" უჩვენებს... სასაფლაოს.



ჩხუბი ხელისუფლებისათვის

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საქდესი). საიგონში ხმები დადის, რომ შეიძლება გადააყენონ გენერალი ნგუენ ქხანი სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტიდან. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, ნგუენ ქხანი „ყოველ ღონეს ხმარობს ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, მაგრამ მას ფლანგიდან შემოუარეს ახალგაზრდა ოფიცრებმა". ახლა ეს ოფიცრები, რომლებმაც ორი დღის წინათ დაითხოვეს უმაღლესი ეროვნული საბჭო და ხელთ იგდეს სამხრეთ ვიეტნამის მართვა-გამგეობის სადავეები, ყოველ საშუალებას მიმართავენ განიმტკიცონ თავიანთი მდგომარეობა. როგორც ჩანს, აჯანყებულ გენერალთა ლიდერია I ტაქტიკური რაიონის სარდალი, ბრიგადის გენერალი, 39 წლის ნგუენ ჩიან თხი.

საინტერესო აღმოჩენა

ავღანეთის ჩრდილოეთში მდინარე პანჯის რაიონის დაბა აიხანუმში საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა დიდი ბერძნული ქალაქის ნაშთები. ვარაუდობენ, რომ ქალაქი არსებობდა დაახლოებით 2300 წლის წინათ და იგი დააარსა ალექსანდრე მაკედონელმა იმ გამარჯვების აღსანიშნავად, რომელიც ამ რაიონში მოიპოვა.

პრეზიდენტი კვლავ არ აურჩევიათ

რომი, 22 დეკემბერი. (საქდესი). იტალიის პრეზიდენტის არჩევნების მეთერთმეტე ტური აგრეთვე უშედეგოდ დამთავრდა. ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო პრეზიდენტის პოსტზე არჩევისათვის საჭირო 482 ხმა.

ყველაზე მეტი ხმა მიიღეს ჯოვანი ლეონემ (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) — 382, უმბერტო ტერაჩინიმ (კომუნისტური პარტია)— 252, პიეტრო ნენიმ (სოციალისტური პარტია)— 98.

ამ ტურის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა ფანფანიმ, რომელიც კენჭს იყრიდა წინა ტურებში, მოხსნა თავისი კანდიდატურა.

კვლავინდებურად გაურკვეველია, ვინ შეიძლება ჩავთვალოთ პრეზიდენტის პოსტის ყველაზე შესაძლო პრეტენდენტად.

პარტიული ცხოვრება

სემინარი პარტიული აქტივისათვის

გორი. საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტმა გამართა ორდღიანი სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მათი მოადგილეები, პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკები, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ლექტორები, საწარმოთა ხელმძღვანელები, სულ 100-ზე მეტი პარტიული აქტივისტი.

პირველ დღეს გორის პედინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ გ. ჩიკვაიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „სკკპ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში“. პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე სემინარის მონაწილეებს ესაუბრნენ საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორები ლ. კიკნაძე, ნ. ჯოჯიშვილი, ი. ასლანიშვილი.

სემინარის მუშაობის მეორე დღეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ჯირკველიშვილმა ილაპარაკა თემაზე: „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის პრინციპები“. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქალაქო კომიტეტის მუშაკები: ო. ილარიშვილი, ნ. ხომასურიძე, ბ. ნოზაძე.

მსმენელებს მუშაობის საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატისა და საკონსერვო ქარხნის პარტიული კომიტეტების მდივნებმა ე. ბუთხუზმა და შ. ჩუბინიძემ.

დასასრულს მოსმენილ იქნა დოცენტ მ. ეფრემიძის ლექცია საერთაშორისო თემაზე.

კ. ქრისტესიაშვილი.

ახალარჩეული მდივნებისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ახალარჩეული მდივნების სემინარი. წაკითხულ იქნა მოხსენებები: ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის განხორციელების, იდეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობის, ძირეული პრესის მუშაობის, პროფკავშირული, კომკავშირული და ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისადმი, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი ხელმძღვანელობის, პარტიული დოკუმენტების მოვლა-პატრონობის, პარტიული დისციპლინის განმტკიცებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

სწავლობენ კომუნისტები

მაიაკოვსკის რაიონში მუშაობას შეუდგა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა.

პირველ მეცადინეობაზე მოსმენილ იქნა საუბრები თემებზე: „სკკპ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში“, „დემოკრატიული ცენტრალიზმი პარტიის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპია“, „პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლაა“, „პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა“, „პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დაგეგმვა“.

დ. ჩუბინიძე.

პოლიტიკური განათლების კერები

ოჩამჩირის რაიონის ბევრ სოფელში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ პოლიტიკური განათლების კაბინეტები. აქ უხვად ნახავთ სხვადასხვა სახის ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, ლამაზად გაფორმებულ ბევრ საინტერესო სტენდსა და გამოფენას.

განსაკუთრებით კარგად მუშაობს პოლიტიკური განათლების კაბინეტი სოფელ კოჩარაში. პოლიტიკური განათლების ამ მძლავრ კერას ხელმძღვანელობს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. ვეკუა. სოფლის ასობით აქტივისტისათვის მუდამ ღიაა კაბინეტის კარი. ისინი ინტერესით ეცნობიან აქ მოწყობილ სტენდსა და გამოფენას: „კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის ციფრები“ და „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“.

კაბინეტში სისტემატურად ეწყობა ლექცია-მოხსენებათა ციკლი თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე, იმართება სემინარები და კონსულტაციები პროპაგანდისტებისა და აგიტატორების დასახმარებლად.

მ. ჟოჟუა.

იდეური წრთობის ძალა

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ადამიანების იდეურ გამოწრთობას, რევოლუციური თეორიით შეიარაღებას, მათი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ საბჭოთა ხალხის გამარჯვების ერთ-ერთ ძირითად პირობას კომუნისტურ მშენებლობაში, პარტიის პროგრამის განხორციელებაში.

როგორია იდეურად აღზრდილი ადამიანი?

იდეურია ის ადამიანი, რომელიც თავდადებულია რევოლუციური იდეებისადმი, მიზანსწრაფულად მოქმედებს საბჭოთა საზოგადოების საკეთილდღეოდ, ღრმად არის დარწმუნებული კომუნიზმის დიადი საქმის სისწორეში და მზად არის დაუღალავად იბრძოლოს მისთვის.

ჩვენი მსოფლმხედველობის იდეური საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი. მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მეცნიერული კომუნიზმის ღრმად შესწავლა ეხმარება ჩვენს ადამიანებს აქტიურად, შეგნებულად, მთელი რწმენით იბრძოლონ ლენინური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებისათვის, სწორად გაიგონ მსოფლიო განვითარების მსვლელობა და პერსპექტივა, კარგად გაერკვნენ ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ მოვლენებში.

ჩვენი ადამიანების — როგორც კომუნისტების, ისე უპარტიოთა — ფართო მასების იდეური აღზრდის, მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებებია პოლიტიკური განათლების სისტემა — მილიონთა ეს ნამდვილი უნივერსიტეტი, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები და საშუალებები, ლექციური პროპაგანდა და სხვ.

ახლა საქმე ის არის, რომ პარტიული პროპაგანდის მთელი ძალა უნარიანად იქნას გამოყენებული ადამიანთა იდეური გამოწრთობისათვის, მისი შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისათვის. საჭიროა პროპაგანდისტებმა, ლექტორებმა, აგიტატორებმა როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდურად სწორად მოაწყონ მთელი აღმზრდელობითი მუშაობა, ადამიანთა კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით აღზრდა.

მასების აღზრდა კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით იმას ნიშნავს, რომ ჩავუნერგოთ მათ სამშობლოს სიყვარული, კომუნისტური პარტიისადმი თავდადება, მაღალი პრინციპულობა, საქმისადმი, საზოგადოებრივი დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, ბრძოლა მისი გამრავლებისათვის და სხვ.

მაგრამ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კომუნისტური იდეების ცოდნა როდია საკმარისი იმისათვის, რომ წარმატებით ვაშენოთ კომუნიზმი. საჭიროა ეს ცოდნა გადაიქცეს რწმენად, ხოლო რწმენა საქმედ, ესე იგი მან გამოხატულება ჰპოვოს შრომით საქმეებში, ადამიანთა პოლიტიკური აქტივობის ზრდაში. ადამიანის იდეურობა მოწმდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკით. არა მარტო თეორიული დებულებების დაზეპირება, არამედ ყოველდღიური პრაქტიკული მოღვაწეობა — აი რა არის კომუნისტური იდეურობის საზომი. პარტიის პროგრამა ხომ ამას გვასწავლის. „თვითეული ადამიანის ყოფაქცევაში, თვითეული კოლექტივისა და თვითეული ორგანიზაციის საქმიანობაში, — ნათქვამია პროგრამაში, — კომუნისტური იდეები ორგანულად უნდა იყოს შეხამებული კომუნისტურ საქმეებთან“.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, რომ უმალვე დავრწმუნდეთ კომუნიზმის იდეებისადმი ღრმა რწმენის ძალაში. კომუნისტური იდეების ძალამ განაპირობა მუშებისა და გლეხების გამარჯვება 1917 წელს. კომუნიზმის საქმისადმი თავდადებამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის წარმატება ბრძოლაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის.

კომუნისტური იდეურობა ადუღაბებდა საბჭოთა მეომრების, მთელი ხალხის ენერგიას, ნებისყოფასა და ვაჟკაცობას დიდ სამამულო ომში გამარჯვების მოსაპოვებლად.

ეს ძალა რაზმავს ახლა ჩვენს ადამიანებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა ნათლად ადასტურებს საბჭოთა ადამიანების იდეურობის ძალას და ყოველ ნაბიჯზე იძლევა თავის ხილულ შედეგებს. ეს ადამიანები დაინტერესებული არიან არა მარტო საკუთარი, არამედ მთელი კოლექტივის წარმატებებით.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მესამე შახტის ერთ-ერთი ბრიგადა მექანიზმების მწყობრიდან გამოსვლის გამო საწარმოო გეგმების შეუსრულებლობის საფრთხის წინაშე იდგა. ცნობილმა მეშახტემ ნ. ჯახაიამ „ზემოდან“ ყოველგვარი მითითების მიუღებლად სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დატოვა თავისი ბრიგადა და დაეხმარა მეზობელ ბრიგადას მექანიზმების აღდგენაში. როცა შახტის პარტბიუროში კომუნისტ ნ. ჯახაიას საქციელი მოუწონეს, მან უპასუხა:

„რა სინდისით უნდა წავსულიყავით სახლში, როცა ვიცოდით, რომ ჩვენს თანამოსაქმეებს უჭირდათ. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. მოვიქეცით ისე, როგორც უნდა მოიქცეს ყოველი პატიოსანი ადამიანი“.

ასეთი საქციელის ჩადენა, ასეთი განცხადების გაკეთება შეუძლია მხოლოდ იდეურად გამოწრთობილ, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ ადამიანს.

ყოველდღიური კონკრეტული, სამეურნეო შედეგები ადამიანთა იდეური აღზრდის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი საზომია, მაგრამ ერთადერთი როდია. ხდება, რომ რომელიმე საწარმო გეგმას ასრულებს, მაგრამ აქ ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის, საზოგადოებრივი საკუთრების მითვისების, კომუნისტური მორალის უგულებელყოფის შემთხვევებს.

რაზე მიგვითითებს ეს? იმაზე, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში ვინტერესდებოდეთ არა მარტო საწარმოო, არამედ აგრეთვე მორალურ-პოლიტიკური შედეგებითაც. წარმოების, ეკონომიკის განვითარების საკითხებზე ყურადღების გამახვილება არ უნდა მოხდეს ადამიანთა იდეური აღზრდის საზიანოდ. პირიქით, რაც უფრო უკეთ აღზრდილია ადამიანი, მით უფრო მეტ სამეურნეო შედეგებს აღწევს იგი. ავიღოთ, მაგალითად, შრომის ნაყოფიერების საკითხი. მისი ზრდისათვის ბრძოლა მარტო ეკონომიური ამოცანა როდია. ამ ამოცანის გადაჭრისათვის საჭიროა საზოგადოების თვითეული წევრის მაღალი, კომუნისტური შეგნებულობა, კულტურა. იდეური წრთობა ადამიანებს აღუძრავს შემოქმედებითს აქტივობას, ინიციატივას, წაახალისებს უკეთესი მუშაობისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა გავიგოთ გაუბრალოებულად. ვთქვათ, თუ დღეს პროპაგანდისტმა, აგიტატორმა ადამიანებს განუმარტა შრომის ნაყოფიერების არსი, მათ აუცილებლად ხვალვე ამდენი და ამდენი პროცენტით უნდა გადააჭარბონ გამომუშავების ნორმები. პროპაგანდისტი, აგიტატორი, ლექტორი ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს ადამიანთა პოლიტიკურ, იდეურ აღზრდაში, მათი ინიციატივის ამაღლებაში. მთელ ამ აღმზრდელობით საქმიანობაში, თუ იგი კარგად არის მოწყობილი, მშრომელებს გამოუმუშავდებათ რწმენის განსაზღვრული სისტემა, რაც აუცილებლად იჩენს თავს პრაქტიკული საქმეებით.

დასკვნა ერთია. იდეოლოგიურ მუშაობაში, ადამიანთა იდეური წრთობისათვის გაშლილ ბრძოლაში არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ მარტო სამეურნეო შედეგებით, არ უნდა ვამცირებდეთ თეორიის, მსოფლმხედველობის მნიშვნელობას. არ შეიძლება გვერდს ვუვლიდეთ შეგნებას, ადამიანთა მორალურ განწყობილებას.

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ წლებში იდეოლოგიურ მუშაობაში ზოგჯერ ადგილი ჰქონდა თეორიის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მნიშვნელობის შეუფასებლობას, ეს კი უკვალოდ როდი რჩება. იდეურ-პოლიტიკური პრობლემების შესწავლაში წარმოშობილ თავისუფალ ადგილს ხშირად ავსებს ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული მეშჩანური შეხედულებები, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს ჩვენი ადამიანების არა მარტო აზრებზე, არამედ აგრეთვე პრაქტიკულ საქმიანობასა და საქციელზე.

თეორიული საკითხების უგულებელყოფის მავნეობის შესახებ ფრიად საჭირო და სასარგებლოა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მითითება. იგი წერდა: „უმაღლესი ცოდნის საკითხების იგნორირება საქმეს გაუადვილებდა მხოლოდ შარლატანებს, დემაგოგებსა და რეაქციონერებს სწორ გზას აეცდინათ ნაკლებად განათლებული ადამიანები. მთავარია, — აღნიშნავდა ლენინი, — „პოლიტიკურად განვითარება“.

ადამიანთა იდეურ წრთობაში წარმატების მოსაპოვებლად საჭიროა მკვეთრად განვასხვავებდეთ იდეოლოგიურ აღზრდასა და პროფესიულ სწავლებას, იდეოლოგიურ აღზრდას არ ვცვლიდეთ პროფესიული განათლებით, პირველი არ დაგვყავდეს მეორემდე. თუმცა ერთიც და მეორეც საჭიროა ახალი ადამიანის აღზრდისათვის, მაგრამ კომუნისტური საზოგადოების წევრების მომზადებაში თვითეულ ამ მიმართულებას აქვს თავისებურება. პროფესიული სწავლება ხელს უწყობს ადამიანს საწარმოო ოპერაციების შესრულების ცოდნისა და უნარის დაუფლებაში, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალი ადამიანი, რომელსაც უნარი ექნება მიაღწიოს შრომის მაღალ ნაყოფიერებას. იდეოლოგიური აღზრდა კი აყალიბებს ადამიანის მსოფლმხედველობას, მორალურ-პოლიტიკურ თვისებებს.

ადამიანთა იდეურ აღზრდაში, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ აქვს იდეოლოგიურ აღზრდას, ვიდრე პროფესიულ განათლებას, ეს შემდეგი ფაქტითაც დასტურდება. მაგალითად, ზოგიერთი ანგარებიანი ადამიანი შეიძლება სპეციალობას კარგად იყოს დაუფლებული, სამუშაოსაც კარგად ასრულებდეს, მაგრამ საკმარისია იგი გადაიყვანო სხვა, უფრო დაბალი ანაზღაურების სამუშაოზე, რომ ისე თავდადებით აღარ იმუშაოს. ესე იგი ასეთი ადამიანი პროფესიას კარგად არის დაუფლებული. მაგრამ იმის გამო, რომ იდეურად არ არის აღზრდილი, ყველაფერს ზომავს მხოლოდ პირადი საზომით, უგულებელყოფს საერთო ინტერესებს.

მაგრამ მეორე მხრივ ავიღოთ მაღალიდეური ადამიანების საქციელი. გადადიან რა ჩამორჩენილ უბნებზე სამუშაოდ, ისინი დროებით მატერიალურ ზარალსაც განიცდიან, კარგი მუშაობით აწინაურებენ ამ უბნებს და ანაზღაურებაც ეზრდებათ. ამ ადამიანებს კომუნიზმის იდეების რწმენის ძალა უკარნახებს საზოგადოებრივი ინტერესები უფრო მაღლა დააყენონ, ვიდრე პირადი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეთა ბრიგადა ჩამორჩებოდა, ცუდ ნადნობს უშვებდა და ქარხანას დიდ ზარალს აყენებდა. გრიგოლ ჩაჩანიძეს, რომელიც საამქროს ოსტატად მუშაობდა, გულმა აღარ მოუთმინა და ჩამორჩენილ ბრიგადაში გადასვლა ითხოვა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. გრიგოლმა დარაზმა ბრიგადის წევრები და მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. კომუნისტური შრომის წოდებაც მოაპოვებინა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იდეა მაშინ იქცევა საქმედ, მატერიალურ ძალად, როცა იგი დაეუფლება მასებს. ამის მაგალითს ჩვენი ცხოვრება ყოველდღიურად იძლევა. ავიღოთ თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი ბრიგადა. მის წევრებს მოუსვენარი აზრის ადამიანებს უწოდებენ, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ისინი ამავე დროს დიად იდეებს დაუფლებული ადამიანებიც არიან.

ფაბრიკაში ფურცლოვანი თამბაქოს დამუშავება დაკავშირებული იყო ხელის მძიმე, შრომატევად სამუშაოსთან. ბრიგადის წევრებს, რომლებიც მუდამ წინა ადგილზე აყენებენ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, დაებადათ იდეა დაენერგათ მექანიზაცია ფურცლოვანი თამბაქოს ტექნიკური დამუშავების თვითეულ პროცესში. ამ პასუხსაგები საქმის წარმატების უზრუნველყოფა შეეძლოთ მხოლოდ მაღალი შეგნებულობის ადამიანებს. ბრიგადის წევრებს მართლაც აღმოაჩნდათ ეს შეგნებულობა, იდეურობა, და ფურცლოვანი თამბაქოს დამუშავებაში დანერგეს სრული მექანიზაცია. ამით ფაბრიკამ მიაღწია ფრიად ხილულ ეკონომიურ შედეგს — 16.900 მანეთს წელიწადში.

ჩვენში ყოველი სასარგებლო წამოწყების წარმატებას განაპირობებს არა მარტო კარგი ორგანიზატორულ-ტექნიკური ღონისძიებები, არამედ აგრეთვე აღმზრდელობითი მუშაობა, მასების დარწმუნება მის სისწორესა და აუცილებლობაში. ამის მაგალითად წულუკიძის რაიონის სოფელ წითელი ვარსკვლავის კოლმეურნეობის აგიტატორის გ. მხილაძის საქმიანობა გამოდგება.

რგოლს, სადაც აგიტატორი მხილაძე მუშაობს, ურწყავი მიწები ჰქონდა და მოსავალი დაბალი მოჰყავდა. ეს, ცხადია, აწუხებდა აგიტატორს. მას აზრად მოუვიდა სარწყავი არხი გაეყვანათ მეზობელი სოფლიდან, რომელიც ორ კილომეტრზე მდებარეობს. ამ საკითხზე იგი ესაუბრა რგოლის წევრებს, განუმარტა რწყვის სიკეთე. აგიტატორის აზრმა კოლმეურნეები ჩააფიქრა. გონების თვალით აწონ-დაწონეს ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა, მოსალოდნელი სიძნელეები. კოლმეურნეებმა შიში გამოთქვეს, თავს ვერ გავართმევთ ამოდენა სამუშაოსო. მაშინ აგიტატორმა მათ მოაგონა მწერალ ვ. აჟაევის რომანი „მოსკოვიდან დაშორებით“, მოკლედ ესაუბრა იმაზე, თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდათ მშენებლებს ნავთობსადენის გაყვანა, როგორ გაიმარჯვა ნათელმა აზრმა. კოლმეურნეთა განწყობილება თანდათან შეიცვალა. დარწმუნდნენ წამოწყების სარგებლიანობაში. მათ ერთგულად მოჰკიდეს ხელი არხის გაყვანას და მოკლე დროში მიზანსაც მიაღწიეს.

ეს მაგალითები იმაზე მეტყველებენ, რომ ადამიანთა იდეური აღზრდით, ნაყოფიერი შრომისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მათი მომზადებით იდეოლოგიური მუშაობა დიდ როლს ასრულებს კომუნიზმის მშენებლობაში.

მაგრამ ვერავითარი იდეოლოგიური მუშაობა ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგს, თუ იგი არ განვამტკიცეთ ორგანიზატორული მუშაობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითონვე უნდა მივიღოთ უშუალო პრაქტიკული მონაწილეობა იმ იდეების განხორციელებაში, რომელთა პროპაგანდასაც ვეწევით, დავრაზმოთ ადამიანები იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელთა შესახებ ვილაპარაკეთ ლექციაში, მოხსენებაში, საუბარში.

ნამდვილი პროპაგანდისტი, ლექტორი, აგიტატორი ამავე დროს ნამდვილი ორგანიზატორიც უნდა იყოს.

დ. კაკაბაძე,
ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორი.

ერთადერთია საქართველოს ელექტროტექნიკურ მრეწველობაში თბილისის ელექტროსაიზოლაციო მასალების ქარხანა, რომელსაც შემოკლებულად „თბილელექტროიზოლიტს“ უწოდებენ. ეს ქარხანა ამუშავდა შვიდწლედის პირველ წელს და მისი კოლექტივი თავიდანვე წარმატებით მუშაობს, სისტემატურად ასრულებს წლიურ დავალებებს. თუ პირველ ხანებში საწარმო მხოლოდ ერთი სახის საიზოლაციო მასალას — მიკალენტს უშვებდა, მომდევნო წლებში იმდენად გაიზარდა და მისი კოლექტივიც იმდენად დაოსტატდა, რომ ახლა უკვე 90 დასახელების საიზოლაციო მასალებს უშვებს.

წელსაც „თბილელექტროიზოლიტის“ კოლექტივმა არ უღალატა ერთხელვე დამკვიდრებულ ტრადიციას, ვადაზე საგრძნობად ადრე — 25 ნოემბრისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების 1964 წლის გეგმა, და უკვე თვე სრულდება, რომ 1965 წლის ანგარიშში მუშაობს.

სურათზე: „თბილელექტროიზოლიტის“ მოწინავე ადამიანები, მიკანიტის საამქროს მუშები (მარცხნიდან) — მანანა მაზანაშვილი, მედეა ბუბუტეიშვილი, გულიკო ჯანჯალაშვილი და რაისა ავაქოვი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩამორჩენა შარშან, წელს!

რატომ ვერ ასრულებს თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა საწარმოო გეგმას?

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის შარშანდელ მაჩვენებლებზე შეიძლებოდა არაფერი გვეთქვა, მაგრამ წლის თერთმეტი თვის არასასიამოვნო შედეგები გვაიძულებენ გავიხსენოთ, რომ ქარხანამ შარშან საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 89,4 პროცენტით შეასრულა და მრეწველობას ათობით ათასი მანეთის პროდუქცია დააკლო. არ შესრულებულა შრომის ნაყოფიერების ზრდის მოგების წლიური დავალებანი. ადგილი ჰქონდა ხელფასის გადახარჯვას. აქედან ქარხნის ხელმძღვანელობამ, მთელმა კოლექტივმა საჭირო დასკვნები როდი გამოიტანა. მართალია, ანალიზი გაუკეთეს წლის შედეგებს, ნათელი იყო ჩამორჩენის მიზეზებიც, მაგრამ მომდევნო დროში მდგომარეობის გამოსწორებაზე ნაკლები ზრუნვის შედეგად ქარხანამ ჩამორჩენას თავი ვერ დააღწია.

აი შეჯამდა 1964 წლის თერთმეტი თვის შედეგები. გეგმების შესრულებაში კვლავ სერიოზული ჩამორჩენაა. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქარხანამ თერთმეტ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 96,5 პროცენტით შეასრულა და ათობით ათასი მანეთის პროდუქცია დააკლო ქვეყანას. ისეთი უნივერსალური სახეხი ჩარხი, როგორიც არის „ვა-110“, რამდენიმე ცალით ნაკლები გამოუშვა. ახლა ეს ჩარხები აწყობის პროცესშია.

შეძლებს კი ქარხნის კოლექტივი დეკემბრის გეგმის შესრულებასთან ერთად უზრუნველყოს ამ ჩარხების გამოშვება, რომ წლიური გეგმაც შესრულდეს? მომხმარებლები კი ელიან ახალ ჩარხებს. ხელშეკრულების მიხედვით ქ. ულიანოვსკის ხელსაწყოების ქარხანას IV კვარტალში უნდა გაეგზავნოს ამ მოდელის ერთი ჩარხი. ასევე ელიან ამ პროდუქციას ვორონეჟსა და რიაზანში. ამასთან ერთად ქარხანა ჩვენი ქვეყნის საწარმოებს ამარაგებს ჩარხების სავალი ხრახნებით. ამ პროდუქციაზე მეტად დიდი მოთხოვნილებაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კარგად იციან ქარხანაში, თერთმეტ თვეში ამ მეტად საჭირო დეტალების გამოშვების დავალება შესრულებულია მხოლოდ 94 პროცენტით.

როგორც ქარხნის ხელმძღვანელებმა საუბარში აღნიშნეს, ამ პროდუქციის წარმოების გადიდება შესაძლებელია ერთიორად და უფრო მეტად, მაგრამ აკლიათ სპეციალური დანადგარი, რომელსაც მოელიან მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“ ქარხნიდან. არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ ადრე მიეღოთ ზომები ამ ჩარხის ჩამოსატანად. ამისათვის საჭირო იყო უფრო მეტი ოპერატიულობის, მეტი ენერგიის გამოჩენა.

გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად ხელმძღვანელები ასახელებენ სპეციალისტების ნაკლებობას. მართლაც, ამ პროდუქციის წარმოებაზე შვიდი ხარატის ნაცვლად ოთხი მუშაობს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მექანიკური საამქრო, სადაც ეს პროდუქცია მზადდება, მეორე ცვლაში სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. როცა კვალიფიციური ხარატების სიმცირეზე ლაპარაკობენ, ავიწყდებათ, რომ ისინი ციდან როდი ჩამოდიან. საჭიროა მათი ადგილზე მომზადება, დაოსტატება. აი სწორედ ეს გამორჩათ მხედველობიდან ხელმძღვანელ ამხანაგებს. მათ არ მიუღიათ საჭირო ზომები ამ კადრების მოსამზადებლად, მაშინ როცა კვალიფიციური სპეციალისტების სიმცირე იგრძნობა წლების მანძილზე. და განა მარტო ხარატები? როგორც ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. ქართველიშვილმა გვითხრა, მათ აკლიათ სხვადასხვა სპეციალობის 68 კაცი. ცხადია, კვალიფიციური კადრების ასეთი უკმარისობა დიდ გავლენას ახდენს საერთო წარმოებაზე.

შეიძლებოდა თუ არა ამ კადრების ნაწილი მაინც მოემზადებინათ ადგილზე? რასაკვირველია, შეიძლებოდა. ამის საილუსტრაციოდ თვით ამ ქარხნის ცხოვრებიდან ერთ მაგალითს მოვიყვანთ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1960 წელს ქარხანაში სამუშაოდ მოვიდა რ. ქემოკლიძე. იგი ჯერ მოწაფედ მიიღეს. გამოცდილმა ხარატმა ი. მუსტაფაევმა იკისრა მისი აღზრდა. გავიდა სულ რამდენიმე წელი, და ქემოკლიძე ახლა მეხუთე თანრიგის ხარატია, მეტად გამოცდილი და დახელოვნებული. ამ დროის მანძილზე კი შეიძლებოდა ქარხანაში ბევრი ქემოკლიძე აღზრდილიყო, გულისხმიერება რომ გამოეჩინათ და კადრების მომზადება პირველი რიგის საქმედ გაეხადათ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

მომავალი წლიდან ქარხანამ უნდა დაიწყოს „ვა-110“ მოდელის სახეხი ჩარხის სერიული წარმოება. უნდა გამოუშვას ასობით ცალი ჩარხი. ამისათვის საჭიროა აქედანვე მომზადდეს 150 დასახელების სამარჯვი და სხვა ხელსაწყო-იარაღები. წელიწადი დასასრულს უახლოვდება, კიდევ რამდენიმე დღე, და ახალი წელი შემოაბიჯებს საწარმოში. პირველი დღეებიდანვე უნდა დაიწყოს ბრძოლა წლიური გეგმის შესასრულებლად. ადგილი არ უნდა ჰქონდეს იერიშობას, რასაც ყოველთვის თან სდევს მდარე პროდუქციის გამოშვება. ამოცანა ის არის, რომ საწარმო მუშაობდეს რიტმულად, გეგმას ასრულებდეს ყოველ თვეში, ყოველ დეკადაში. ზემოაღნიშნული ჩარხების სერიული წარმოების დასაწყებად ქარხანა უზრუნველყოფილი არ არის არც ტექნოლოგიური დოკუმენტაციით, რადგან ძველი ტექნოლოგიური დოკუმენტების მიხედვით სამარჯვების დამზადება, გამოიწვევს გეგმის შეუსრულებლობას, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, გაიზრდება პროდუქციის თვითღირებულება, რაც მძიმე ეკონომიურ ვითარებას შექმნის საწარმოში. ამ საკითხზე საუბრის დროს ქარხნის ტექნოლოგიური ბიუროს უფროსმა ჯ. საპანაძემ გვითხრა:

— ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიური რუკების უქონლობა უთუოდ შეაფერხებს „ვა-110“ მოდელის ჩარხის სერიულ წარმოებას, კვლავ აღმოვჩნდებით გეგმის შეუსრულებლობის საშიშროების წინაშე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკურმა საპროექტო-ტექნოლოგიურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ქარხანას დროზე უნდა მიაწოდოს ტექნოლოგიური რუკები. არ უნდა გამეორდეს წლევანდელი შეცდომები, როცა ასეთი დოკუმენტაციის უქონლობის გამო ძველი სამარჯვებით ხდებოდა ახალი ჩარხების წარმოება.

როცა ვლაპარაკობთ იმ ორგანიზაციებზე, რომელთა მუშაობასთან დაკავშირებულია წარმოების ავკარგი, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იმ საწარმოზეც, რომელიც ქარხანას აწვდის საჭირო მასალას, და, შეიძლება ითქვას, მის მიერ ნედლეულის მიწოდებაზეა დამოკიდებული სახეხი ჩარხების ქარხნის წარმატებაც და წარუმატებლობაც. მხედველობაში გვაქვს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, რომელიც თუჯის სხმულით ამარაგებს სახეხი ჩარხების საწარმოს. მარტო ის ფაქტი, რომ თუჯის სხმულის მწარმოებლებმა წლის თერთმეტ თვეში ქარხანას დააკლეს 205 ტონა სხმული, იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი უხეშად არღვევენ კოოპერირებით გათვალისწინებულ გეგმას. თერთმეტი თვის მანძილზე თუჯის მწარმოებლებმა სახეხი ჩარხების ქარხანას გეგმით გათვალისწინებულ 140 კომპლექტის ნაცვლად გაუგზავნეს 51 კომპლექტი თუჯის სხმული, ხოლო ნოემბერში „ტშ-37“ მოდელის ჩარხისათვის 27 დასახელების სხმულის ნაცვლად — ერთი დასახელებისა.

ცხადია, ამან უშუალოდ იმოქმედა არა მარტო საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაზე, არამედ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალების შესრულებაზეც. მეორე გარემოებაც — ჩარხმშენებლებმა ნოემბერში მასობრივად დაიწუნეს „ვა-110“ მოდელის 66 ცალი საჩარხე დეტალი მათი ცუდი ხარისხის გამო. საქმე ის არის, რომ ამ ნაწილების უხარისხობა თვალით უხილავია და მხოლოდ დამუშავების პროცესში ვლინდება. მათ გამოჩარხვაზე ფუჭად იხარჯება შრომა, იკარგება ძვირფასი დრო. ამას ისიც ემატება, რომ ასეთ დაწუნებულ სხმულზე ხელფასის ანაზღაურებას ახდენს მომწოდებელი ქარხანა, რაც მძიმე ტვირთად აწვება თუჯის სხმულის წარმოებას. მარტო თერთმეტ თვეში ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ სახეხი ჩარხების ქარხანას მიწოდებული წუნდებული სხმულების დამუშავების პროცესში დახარჯული შრომის ასანაზღაურებლად 24.103 მანეთი გადაუხადა. ამრიგად, თუჯის მწარმოებლებმა ორმაგი ზარალი განიცადეს. მათი პროდუქცია დაწუნებულ იქნა და ამასთან დაფარეს გაუთვალისწინებელი ხარჯები! ამ მდგომარეობას ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთოს ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა იგი უნდა გახდეს საწარმოს ხელმძღვანელობისა და პარტიულ-პროფკავშირული ორგანიზაციების სერიოზული მსჯელობის საგანი!.

დიადი შვიდწლედის მეექვსე წლის დასრულებამდე რამდენიმე დღე დარჩა. სახეხი ჩარხების ქარხნის დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მთელმა კოლექტივმა, დარჩენილი დრო ისე უნდა გამოიყენონ, რომ მიაღწიონ წლიური გეგმის დონეს, რათა კვლავ არ აღმოჩნდნენ ჩამორჩენილთა რიგებში.

ი. ბეჟაშვილი.

ქუჩა, ტრანსპორტი, სიცოცხლე

წერილების მიმოხილვა

◆

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებას „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მკითხველთა ასობით წერილი მიიღო. მათი ავტორები ერთხმად აღიარებენ, რომ აღნიშნული კანონის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსპორტის ექსპლოატაციაში წესრიგის დამყარებას და ავარიების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას, დროულია და მისი განხორციელება დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

ცხაკაიას ავტობუსებისა და ტაქსების პარკის პირველი კლასის მძღოლი **ა. ჟორჟოლიანი** გვწერს: „ოცდახუთ წელზე მეტია ავტომანქანის საჭეს ვუზივარ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა მთვრალს მემართოს მანქანა. ამიტომ ავარიის შემთხვევაც არასოდეს არ მქონია. ახლა ბევრს კერძო მფლობელობაშიც ჰყავს მანქანა, მათ შორის ისეთებსაც, რომლებმაც კარგად არც კი იციან მართვა, ხოლო ავტომოყვარულის წიგნაკი უდევთ ჯიბეში. ისინი ხშირად ღვინის დალევასაც არ ერიდებიან და მთვრალები მიუჯდებიან საჭეს. ასეთი ვაიმძღოლების ასალაგმავად ეს ახალი ბრძანებულება სწორედ რომ ზედგამოჭრილია.

„დიდი ხანი არ არის, რაც მძღოლად ვმუშაობ, — ნათქვამია რუსთავის მეოთხე ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლის **ბ. ღვედაშვილის** წერილში,— მაგრამ უკვე საკუთარ გულისძგერასავით მესმის ავტომანქანის სუნთქვა და გულისძგერა. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ თუ მძღოლი კარგად არის დაუფლებული მანქანას, უყვარს იგი და მუდამ წესრიგში ჰყავს, არც ავარია მოუვა. ხოლო ვინც არ უვლის მანქანას, თან მუშაობის დროს ალკოჰოლიან სასმელებს ეტანება, მას ხშირად მოსდის მარცხი. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულება საჭირო და დროული იყო“.

საჩხერის რაიონის სოფელ საირხის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **პ. კურტანიძე** გვწერს:

„საზოგადოებისათვის საშიშია მთვრალი ადამიანი, მაგრამ იგი ათჯერ უფრო საშიშია, როცა ავტომანქანის საჭეს უზის. სამწუხაროდ, ხშირად გვესმის შემაძრწუნებელი სიტყვები: „მანქანამ გაიტანა“, „მანქანა დაეჯახა“ და სხვ.

ავტოხულიგნებთან მარტო მილიციის მუშაკები ვერაფერს გახდებიან. წესრიგის დამრღვევთ მთელი საზოგადოება უნდა ებრძოლოს“.

„აბა ვის არ აღელვებს ის ფაქტი, რომ ლოთი მძღოლების მიზეზით იღუპება ადამიანის სიცოცხლე, — წერს რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ახალციხის რაიონული შტაბის უფროსი **ს. პეტროსიანი**, — ავარიების დიდი უმრავლესობა სწორედ სიმთვრალის შედეგად ხდება. მთვრალი მძღოლი ღუპავს თავის თავსაც და მგზავრსაც. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეს ბრძანებულება მეტად საჭირო და დროულია, იგი მშრომელი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას გამოხატავს.

ტრანსპორტზე ავარიების თავიდან აცილების საქმეში დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმები. ეს ბრძანებულება კიდევ უფრო გააქტიურებს მათს მოქმედებას და ინიციატივას, განამტკიცებს მძღოლთა პასუხისმგებლობას, შემცირდება მოძრაობის წესების დარღვევები და უბედური შემთხვევები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებას ვრცელი წერილით გამოეხმაურა ცხაკაიას ავტომოტოსკოლის უფროსი **ა. ლომაია.**

„ამ უკანასკნელ ხანს, — გვწერს იგი, — ისე განვითარდა ჩვენი საავტომობილო მრეწველობა, რომ ყოველწლიურად ათეულ ათასობით ავტომანქანა დგება სახალხო მეურნეობის, მოსახლეობის სამსახურში. გაიზარდა მოძრაობის სიხშირე, გადაიტვირთა ქუჩები. ასეთ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ მძღოლებს. მაგრამ ზოგი მათგანი აშკარად არღვევს მოძრაობის წესებს, ნაკლებად ზრუნავს ავტომანქანის ტექნიკური გამართულობის სრულყოფისათვის.

ჩემი აზრით, ცალკეულ შემთხვევაში სცოდავენ სპეციალური სკოლები და ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, რომლებიც ზერელედ ეკიდებიან მძღოლთა მომზადების საქმეს და ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ მათი ცოდნის შეფასებისას. ეს კი უბედური შემთხვევის გამომწვევი ძირითადი მიზეზია“.

„კარგია, მოსაწონია!“ — ასეთი სათაური მიუცია თავისი წერილისათვის ზესტაფონის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს **კ. ყიფიანს.**

„ოცდახუთი წელია ავტომანქანის საჭეს ვუზივარ, — გვწერს იგი, — ახლა ავტობუსს ვატარებ. ავარიის არც ერთი შემთხვევა არა მქონია. ეს არც ისე ძნელია. მუდამ გამართული გქონდეს მანქანა, ნუ დაარღვევ მოძრაობის წესებს, მუშაობისას ნუ გაეკარები ალკოჰოლიან სასმელს და ყველაფერი რიგზე იქნება.

ძალიან გამახარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ, რომელიც აძლიერებს მძღოლის პასუხისმგებლობას. ეს მტკიცედ უნდა გავატაროთ“.

ბევრი ავტორი, იწონებს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ ბრძანებულებას, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ავარიებისა და ავტოკატასტროფების საგრძნობი ნაწილი თვით ქვეითად მოსიარულე მოქალაქეთა მიერ მოძრაობის წესების დაუცველობითაც არის გამოწვეული. ეს მოსაზრება ნათლად არის გამოთქმული და დასაბუთებული საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწის **გ. ცუცქირიძის** წერილში, აი რას წერს იგი:

„ჩემი აზრით, მარტო მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერებით ვერ აღმოიფხვრება ავტოავარიის შემთხვევები. საჭიროა დაისვას საკითხი (დიდ ქალაქებში მაინც) იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს.

ჩემი აზრით, საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი. რა წესით, რა ფორმებით უნდა განხორციელდეს იმ ქვეითად მოსიარულეთა დასჯა, რომლებიც მოძრაობის წესებს არღვევენ. ვის არ შეუნიშნავს, რომ ზოგი მოქალაქე სპეციალურად გაკეთებულ მიწისქვეშა გასასვლელებში გასვლის ნაცვლად ქუჩის მეორე მხარეს გადადის გადასასვლელის ზემოთ, ტრანსპორტის სავალ ნაწილზე. ზოგ მოქალაქეს რკინის ღობეც ვერ აკავებს, უსირცხვილოდ ახტება მას და გადადის აკრძალული გზით, ეს მაშინ, როცა მთელი ქუჩა თითქმის დაკავებულია ტრანსპორტით. ასეთ პირებს უნდა შევაგნებინოთ, რომ თუ თავისი თავი არ უყვართ, საფრთხეში ნუ აგდებენ მძღოლს და მის ოჯახს. ასეთ პირთა მიმართ საჭიროა გატარდეს ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებანი, ხოლო თუ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, უნდა შევურიგდეთ იმას, რომ მოძრაობის წესების ბოროტი დამრღვევნი დაისაჯონ სისხლის სამართლის წესით, სათანადო სასჯელის შემოღებით.“

რედაქციის ფოსტაში მსგავსი ხასიათის მრავალი წერილია. ჩვენი გაზეთის მკითხველები ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებას. მშრომელები რწმენას გამოთქვამენ, რომ ახალი კანონი ხელს შეუწყობს ტრანსპორტის მოძრაობაში წესრიგის დამყარებას, ამასთან პირობას დებენ, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ კანონის მტკიცედ განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გარდამავალი დროშა კომბინატს

გურჯაანის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის კოლექტივმა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მოიპოვა, რისთვისაც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. კომბინატის მუშაკები მოპოვებულ წარმატებებს არ დასჯერდნენ. 11 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს წლიური საწარმოო დავალება. ნაცვლად 175 ათასი მანეთისა გამოუშვეს 187 ათასი მანეთის პროდუქცია.

კომბინატის მუშაკები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წლის ბოლომდე გამოუშვან 21 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი.

ს. შაქარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო
დღევანდელი სამყაროს მიმოხილვა
ცხოვრება

მსოფლიო ამ დღეებში

გმობენ რასიზმს

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე გაგრძელდა საერთო პოლიტიკური დისკუსია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიულერმა, რომელიც პირველი გამოვიდა, თავისი ვრცელი სიტყვა მიუძღვნა აპარტეიდის რასისტული პოლიტიკის გამართლებას, რომელსაც მისი მთავრობა ახორციელებს. მან სცადა საქმე ისე დაესახა, თითქოს ამ პოლიტიკით აღშფოთება, რაც ამავე ტრიბუნიდან გამოთქვეს აფრიკისა და აზიის ახალგაზრდა სახელმწიფოების, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა, სამხრეთ აფრიკის საშინაო საქმეებში ჩარევა იყოს.

მიულერის გამოსვლის დროს აფრიკის ყველა სახელმწიფოს და აზიის მეტი წილი ქვეყნების დელეგაციები სხდომის დარბაზიდან გავიდნენ.

შემდეგ გამოვიდა ცეილონის დელეგაციის მეთაური გუნევარდენე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერავითარი ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრება ვერ გაამართლებს კოლონიური წესწყობილების შემდგომ შენარჩუნებას. მან დაგმო პორტუგალიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კოლონიური და რასისტული პოლიტიკა. ცეილონის დელეგატმა დიდი ყურადღება დაუთმო სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობას. შეუძლებელია რაიმე გადაწყვეტილების განხორციელება, თქვა მან, თუ იგი არ გაითვალისწინებს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მისწრაფებას დამოუკიდებლობისა და მშვიდობისადმი. გუნევარდენემ მოითხოვა აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ცეილონის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი ჟენევის კონფერენციის რეკომენდაციათა განხორციელებას.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მენესკუმ დაგმო უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენცია კონგოელი ხალხის წინააღმდეგ და უცხოეთის ინტერვენცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კერძოდ, სამხრეთ ვიეტნამში. მან აგრეთვე მოითხოვა დაუყოვნებლივ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). დღევანდელ დილის სხდომაზე უშიშროების საბჭო განაგრძობდა კონგოს მდგომარეობის საკითხის განხილვას.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა [illegible] ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ბელგია ვერ უარყოფენ იმ მრისხანე ბრალდებებს შეიარაღებული ინტერვენციის მოწყობის შესახებ, რომლებსაც შეიცავს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს რეზოლუცია.

სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰჯუბმა თავის სიტყვაში მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიყვანონ კონგოდან ყველა უცხოელი დაქირავებული, შეწყდეს ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა და გამოცხადდეს ყველა პოლიტიკური პატიმრის ამნისტია. კონგოს პრობლემა, განაცხადა მან, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ამ საფუძველზე.

განის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოტსიომ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის სტივენსონისა და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის სპააკის უნიადაგო ცდები დამოუკიდებელი აფრიკის წარმომადგენელთა მამხილებელი გამოსვლები საბჭოში მიიჩნიონ „შავკანიანთა რასიზმის" გამოვლინებად. აფრიკა, თქვა მან, მოელის, რომ უშიშროების საბჭო მოითხოვს გაიყვანონ კონგოდან ყველა უცხოელი დაქირავებული და შეწყდეს ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა.

ინგლისი კუბასთან ვაჭრობს

ჰავანა, 21 დეკემბერი. (საკდესი). კუბისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები და საერთაშორისო სამართლის ნორმები, განაცხადა გაზეთ „რევოლუციონისათვის" მიცემულ ინტერვიუში ინგლისის ელჩმა კუბაში ჯონ უოტსონმა.

როგორც ელჩმა აღნიშნა, დიდი ბრიტანეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ გარემოება საშუალებას მისცემს მას გააფართოოს ვაჭრობა კუბასთან. დიდ ბრიტანეთს მიაჩნია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ ორი ქვეყნის პოლიტიკურმა სხვაობამ გავლენა არ უნდა მოახდინოს სავაჭრო ურთიერთობაზე.

◆

უგანდა განათლების გზაზე

კამპალა, 22 დეკემბერი. (საკდესი), უგანდის მთავრობას განზრახული აქვს უახლოეს ხანებში შემოიღოს საყოველთაო უფასო დაწყებითი განათლება. განათლების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა და მთავრობას განსახილველად გადასცა თავისი მოსაზრებანი ამ საკითხის გამო, განაცხადა აქ სახელმწიფო მინისტრმა იბინგირამ.

უგანდას, თქვა მინისტრმა, სჭირდება ბევრი განათლებული ადამიანი, სწორედ ამიტომ მთავრობა დიდ სახსრებს ხარჯავს განათლებისათვის. მან თქვა, რომ პრემიერ-მინისტრმა ობოტემ ამას წინათ ეროვნული კამპანია გახსნა მოზრდილ მოსახლეობას შორის უწიგნურობის აღმოსაფხვრელად.

ბარბაროსული დაბომბვა

ბრაზავილი, 22. დეკემბერი. (საკდესი). ამერიკული წარმოების თვითმფრინავებმა ბოლო დღეებში ბარბაროსულად დაბომბეს კონგოს რამდენიმე ქალაქი, რის შედეგად დაიღუპა უამრავი მშვიდობიანი მცხოვრები, ნათქვამია კონგოს განთავისუფლების ეროვნული საბჭოს კომუნიკეში, რომელიც ბრაზავილში გამოქვეყნდა. როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, ამ მეკობრულ თვითმფრინავებს მართავდნენ ამერიკელი, ბელგიელი და სამხრეთროდეზიელი მფრინავები,

●

„მოწყალე" დე გოლი

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). საშობაო დღესასწაულების გამო საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა მიიღო გადაწყვეტილება შეიწყალოს 173 სახელმწიფო დამნაშავე. მათგან 123 გაათავისუფლეს, დანარჩენებს მნიშვნელოვნად შეუმცირეს საპატიმროში ყოფნის ვადა.

შეწყალება ეხება, უმთავრესად, ყოფილ ფრანგ მიწის მესაკუთრეებს ალჟირში, სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფების წევრებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. მათ საფრანგეთის ხელისუფლებამ მსჯავრი დასდო ურჩობისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორის აქტების გამო, ახლა კი სულგრძელად მიანიჭეს თავისუფლება.

დამთავრდა მარიონეტის ვოიაჟი ევროპაში

პარიზი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ბელგიის თვითმფრინავმა დღეს ლეოპოლდვილში ჩაიყვანა მოიზ ჩომბე.

ლეოპოლდვილის რეჟიმის მეთაურმა დაამთავრა თავისი ვოიაჟი ევროპაში ახალი ფინანსური სამოწყალობისა და კონგოელ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების საძიებლად ჩომბე ეწვია იტალიას, დასავლეთ გერმანიასა და ბელგიას. ყველა ამ ქვეყანაში იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა არა მარტო მთავრობის წრეებთან, არამედ საფინანსო-სამრეწველო მონოპოლიათა წარმომადგენლებთანაც.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, ჩამოსვლისას ჩომბემ განცხადება გააკეთა პრესისათვის, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მისი მოგზაურობა ევროპაში „მეტად სასარგებლო" იყო. მართლაც ჩომბემ შეძლო მოეპოვებინა ბელგიის, დასავლეთ გერმანიისა და იტალიის მონოპოლიათა მხარდაჭერა კონგოელ პატრიოტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგალითად, ბონი დაჰპირდა ამ მიზნით 10 მილიონ დასავლეთგერმანულ მარკას.

სხვაგვარად შეხვდა მას იტალიის, დასავლეთ გერმანიისა და ბელგიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა. იმპერიალისტთა მონოპოლიების დამქაშს იტალიაში ლაყე კვერცხები და პომიდორი დაუშინეს, დასავლეთ გერმანიასა და ბელგიაში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები ამ მარიონეტის ვიზიტის წინააღმდეგ.

მეგობრობის მისია

მოგადიშო, 22 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ოსიპოვი იუწყება:

საბჭოთა საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი თ. ა. ტაბეევი მეთაურობს, გუშინ გაემგზავრა სომალის რესპუბლიკიდან სამშობლოში. აქ ათი დღის ყოფნის დროს საბჭოთა პარლამენტარები გაეცნენ სომალიელი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. დელეგაცია შეხვდა ეროვნული კრების თავმჯდომარესა და წევრებს, იგი მიიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა.

აქ ხელმოწერილ ერთობლივ კომუნიკეში ორივე მხარე ადასტურებს თავიანთ ერთგულებას სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისადმი. საბჭოთა და სომალის პარლამენტარები მხარს უჭერენ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, რომელიც მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარება. კომუნიკეში გამოთქმულია რწმენა, რომ უცხოეთის იმპერიალისტური ინტერვენცია კონგოში შეწყდება. ორივე მხარე გადაჭრით მოითხოვს კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციას და ადასტურებს, რომ სავსებით უჭერენ მხარს ხალხებს, რომლებიც ეროვნული განთავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

●

აფრიკელთა პროტესტი

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭომ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის სამხედრო ინტერვენცია კონგოში, რაც განხორციელდა ინგლისის მთავრობის თანხმობით. მინისტრების საბჭოს საგანგებო სესიამ, რომელმაც გუშინ დაამთავრა აქ მუშაობა, რეზოლუციაში ხაზი გაუსვა, რომ ეს სამხედრო ჩარევა არღვევს აფრიკის კონტინენტის მშვიდობასა და უშიშროებას.

საბჭომ განიხილა და მიიღო ცნობად აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სპეციალური კომისიის მოხსენება კონგოს შესახებ და გაუგრძელა მანდატი ამ კომისიას.

ჯილდო — პატრიოტებს

პრაღა, 21 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. მასლენიკოვი იუწყება: საბჭოთა კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში მ. ვ. ზიმიანინმა დღეს საბჭოთა საბრძოლო ორდენები და მედლები გადასცა ჩეხოსლოვაკიელი პატრიოტების ჯგუფს, რომელიც დააჯილდოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა პარტიზანი-მზვერავის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის.

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ სოფლის მასწავლებელი ოლდრჟიხ კოლდა და ექიმი ირჟი პლხი. მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოებულია ხუთი პატრიოტი — ადოლფ დობიაში, ელენე ზანოვა-ვლჩკოვა, სტანისლავ ზანი, ბოგუმილ რუეგურეკი და რუჟენა უნჩოვსკა.

დიდი სამამულო ომის დასასრულს საბჭოთა პარტიზანი მზვერავი რომან ვავილის-ძე ხლუდი მძიმედ დაიჭრა სამხრეთ მორავიის სოფელ როვეჩნოესთან. სიკვდილი ორი მხრიდან ემუქრებოდა, ეს იყო — მძიმე ჭრილობები და ჰიტლერელები, რომლებიც ცოტა როდი იყვნენ ამ სოფელში. საბჭოთა მებრძოლს დაეხმარნენ ჩეხოსლოვაკიელი პატრიოტები.

სოფლის მასწავლებელმა, წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფის ხელმძღვანელმა, ოლდრჟიხ კოლდამ, რომელმაც არად მიიჩნია უდიდესი საშიშროება, შეძლო დაემალა მძიმედ დაჭრილი მებრძოლი და გაეწია მისთვის პირველი დახმარება. მაგრამ რ. ვ. ხლუდისათვის საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. ურთულეს პირობებში პატრიოტმა ექიმმა ირჟი პლხამ დაჭრილს გაუკეთა ოპერაცია და შეაჩერა უკვე დაწყებული სისხლის მოწამვლის პროცესი.

რამდენიმე კვირის განმავლობაში პატრიოტები უვლიდნენ საბჭოთა მებრძოლს, რომელიც რამდენიმეჯერ საფარიდან საფარში გადაიყვანეს, რათა ჰიტლერელთა ეჭვი არ გამოეწვიათ. მასწავლებელსა და ექიმს ეხმარებოდნენ სოფლის სხვა მცხოვრებნიც. ასე გადაარჩინეს საბჭოთა ადამიანი.

ბონის საშიში მისწრაფება

ბონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). პრესბიულეტენ „პოლიტიშ-სოციალე-კორესპონდენციისათვის" მიცემულ ინტერვიუში დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ერჰარდმა განაცხადა, საჭიროა „ატომურ პასუხისმგებლობაში მონაწილეობით პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით განვამტკიცოთ ნატო". ამ ბუნდოვანი ფორმულით ბონის სამხედრო სტრატეგები გულისხმობენ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საშუალება მიეცეს გენერლებს დაადონ თითი ატომურ სასხლეტს.

კანცლერმა ახალი წლის წინ გააშუქა ბონის მთავრობის საგარეოპოლიტიკური პროგრამა. მისი სიტყვებიდან ჩანდა, რომ ბონს კვლავ არ სურს ანგარიში გაუწიოს ცვლილებებს, რაც გერმანიაში მოხდა მეორე მსოფლიო ომისა და ფაშიზმის განადგურების შედეგად.

ერჰარდი მოითხოვდა ნატოს გაძლიერებასა და ბონის მეტი გავლენით აღჭურვას ამ აგრესიულ ბლოკში. ამასთან მან კვეხნით განაცხადა, „ნატოს სამხედრო ძლიერება კიდევ უფრო გაიზარდა".

მიუხედავად ამისა, როცა ნატოს ქვეყნების პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობაზე ლაპარაკობდა, კანცლერმა უკანასკნელ სესიას, რომელიც პარიზში გაიმართა, უწოდა „იმედის გამაცრუებელი", ამასთან ხაზი გაუსვა, რომ სესიას „არ მოჰყოლია დიდი პროგრესი ამ მიმართულებით".

„ევროპის პოლიტიკური კავშირის შექმნის გეგმების გამო, რომელშიც დასავლეთი გერმანია ჩემულობს ხელმძღვანელ როლს, ბონის კანცლერმა აღიარა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს შორის „არ არის თანხმობა იმ საკითხში, თუ რა გზა აირჩიონ".

ერჰარდმა დაადასტურა ბონის მისწრაფება მიაღწიოს ე. წ. „თვითგამორკვევას", რომლის სახითაც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მმართველი წრეები გულისხმობენ იმას, რომ დასავლეთმა გერმანიამ შთანთქას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

წინააღმდეგ შექმნილი რეალური პირობებისა, რომლებიც მოითხოვენ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დაიწყოს მოლაპარაკება და დამყარდეს კონტაქტები გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველყოფის მიზნით, ერჰარდი ამტკიცებდა, „გერმანიის საკითხში პასუხისმგებელია ოთხი სახელმწიფო".

●

საიდუმლო თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ვანდენბერგის ბაზიდან (კალიფორნიის შტატი) გუშინ „ტორ-აგენის" რაკეტების სისტემის საშუალებით პოლარულ ორბიტაზე გაუშვეს დედამიწის თანამგზავრი. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელთა ცნობაში, როგორც ჩვეულებრივ, ახლაც არ არის აღნიშნული გაშვების მიზანი.



აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკა დაგომეა დამოუკიდებელი გახდა 1960 წელს. მის მოსახლეობას ორ მილიონზე მეტი კაცი შეადგენს. სურათზე: დაგომეის დედაქალაქის პორტო ნოვოს ერთ-ერთი ქუჩა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

სამართლიანი მოთხოვნა

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). საერთაშორისო ორგანიზაციამ — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების მსოფლიო კამპანიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიას, რომელიც სწავლობს რასობრივ ურთიერთობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მიმართა წინადადებით შექმნას და გაგზავნოს ამ ქვეყანაში თვალსაჩინო იურისტთა კომისია იმ მიზნით, რომ მიიღოს ცნობები რასისტთა მხეცობის შესახებ პატიმრების მიმართ.

ამ ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ მას განზრახული აქვს გამოაქვეყნოს ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა აუტანელ პირობებში იმყოფებიან პოლიტიკური პატიმრები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. განცხადება აგრეთვე შეიცავს მოწოდებას, რომ 26 ივნისის დღე, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აღნიშნავენ როგორც „თავისუფლების დღეს", მთელ მსოფლიოში აღნიშნებოდეს როგორც ამ ქვეყნის პოლიტპატიმრებთან სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

◆

ლომები ქუჩაში

კანბერა, 22 დეკემბერი. (საკდესი). ოთხი ლომი გამოვარდა დღეს ქუჩაში ადელაიდის ცირკის გალიიდან. ქუჩებში მტაცებელთა გამოჩენამ პანიკა გამოიწვია ცირკთან ახლო მდებარე რაიონში. ქუჩები წამსვე დაცარიელდა. მოვლენის ადგილას გამოიძახეს პოლიციის გაძლიერებული რაზმები. მაგრამ, სათანადო საშუალებების უქონლობის გამო, პოლიციელებმა რისკი ვერ გასწიეს დაეჭირათ საშიში ლტოლვილები. სამი ლომი დახოცეს, მეოთხე ცირკის პატრონმა „დააჯერა" დაბრუნებულიყო გალიაში. ლომების ერთადერთი მსხვერპლი აღმოჩნდა ცირკის ზედამხედველი,

ორი ტრაგედია ოკეანეში

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. 10.000 ტონა ხორბლით დატვირთულმა ამერიკის გემმა „სმიტ ვოიაჯერმა", რომელიც სეუტისაკენ (ესპანეთის მაროკო) მიემართებოდა, 780 მილზე ბერმუდის კუნძულების სამხრეთ-აღმოსავლეთით უბედურება განიცადა.

„სმიტ ვოიაჯერის" ეკიპაჟის 40 წევრიდან 36 კაცი გადაარჩინეს საშველად მისულმა გემებმა. ეკიპაჟის ოთხი წევრი დაიღუპა.

ლიბერიის გემი „სან პატრიკი" დაიმსხვრა იულახის კუნძულის ქვებზე (ალეუტის კუნძულები). ფიქრობენ, რომ ეკიპაჟის 32 წევრი დაიღუპა.



კუბელი მხატვრის პიტინის კარიკატურა დასცინის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს, რომლებიც გვარიანად გაიხლართნენ სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში.

დაპატიმრებანი სამხრეთ ვიეტნამში

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). მდგომარეობა საიგონში კვლავ დაძაბულია. როგორც საზღვარგარეთელი კორესპონდენტები იტყობინებიან, „ახალგაზრდა გენერლებს", რომლებმაც გუშინ დაშალეს უმაღლესი ეროვნული საბჭო და ფაქტიურად ხელთ იგდეს ძალაუფლება, ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ იმის გამო, თუ შემდეგ რა ქნან. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ დააპატიმრეს „ახალგაზრდათა" ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი გენერალი ნგუენ ქხანი. მაგრამ ეს არ დადასტურდა. დღეს გენერალ ქხანს მოლაპარაკება ჰქონდა პრემიერ-მინისტრ ჩან ვან ხიონთან და სახელმწიფოს სამოქალაქო მეთაურთან ფან ქხაკ შიუსთან, რომლებიც ნომინალურად ჯერ ხელისუფლების სათავეში არიან. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ამერიკის ელჩის გენერალ ტეილორის თანდასწრებით. ამერიკელი დიპლომატი არ ფარავს უკმაყოფილებას ამბოხი გენერლების მოქმედების გამო და დაემუქრა კიდევაც, რომ ამერიკა აღარ დაეხმარება სამხრეთ ვიეტნამს, თუ გენერლები, „ბოლოს და ბოლოს, წესრიგს არ დაამყარებენ საკუთარ სახლში".

ლონდონი, 21 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, გადატრიალების შემდეგ საიგონში ჩახრიკეს ბევრი პოლიტიკური მოღვაწე და ოფიცერი. უკვე დაპატიმრებულია 50-ზე მეტი კაცი.

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის პრესა ფართოდ განიხილავს მდგომარეობას, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში შეიქმნა მორიგი სამხედრო გადატრიალების შემდეგ. „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საიგონში გენერალი ტეილორი „აქტიურად იღწვის, რათა შეანელოს მორიგი პუტჩის უარყოფითი შედეგები". უოლტერ ლიპმანი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" ხაზს უსვამს ამერიკის პოლიტიკის გაკოტრებას სამხრეთ ვიეტნამში. ლიპმანი აღნიშნავს, რომ სამხრეთ ვიეტნამის ჩიხიდან გამოსვლა შეერთებულ შტატებს შეუძლიათ „დიპლომატიური ღონისძიებებით", რომელთა მიზანი უნდა იყოს „ფართო მოწესრიგება აზიაში". „თუ ძნელია გათვალისწინება, რა მოჰყვება ახალ გადატრიალებას საიგონში, — აცხადებს ფრანგული „ეკო", — სავსებით შეიძლება ითქვას, რომ იგი არ გვიქადის არც მშვიდობას, არც სამშვიდობო მოლაპარაკებას. შეერთებულ შტატებში აღზრდილი და გაწვრთნილი „ახალგაზრდა" სამხრეთვიეტნამელი გენერლები მშვიდობიან მოლაპარაკებას ამჯობინებენ იმას, რომ განაგრძონ უპერსპექტივო ომი".

„პოპულერ დე პარი" წერს: ახალმა სამხედრო გადატრიალებამ საიგონში „ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სამხრეთ ვიეტნამში არ არის რაიმე პოლიტიკური სტაბილობა და ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ძალუძთ მოაგვარონ სამხრეთ ვიეტნამის კრიზისი".

ინგლისური „დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში მკვეთრად აკრიტიკებს ინგლისის მთავრობას იმის გამო, რომ იგი მხარს უჭერს ამერიკის პოლიტიკას სამხრეთ ვიეტნამში. ინგლისელ ხალხს, წერს გაზეთი, სურს, რომ მთავრობამ გაწყვიტოს კავშირი კონსერვატორთა წინანდელ პოლიტიკასთან და ნამდვილი სამშვიდობო ინიციატივა გამოიჩინოს.

l'Humanité
Daily Worker
l'Unità

● ● ●

და კვლავ: ვინ მოკლა კენედი?

△ შეუსაბამობანი ყოველ ნაბიჯზე △ პიროვნების „გაორება" △ „ცრუოსვალდი?" △ დიდი ხნით მიჩქმალვის ვარაუდით.

თითქმის სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მოხსენება კომისიისა, რომელსაც სათავეში ედგა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენი და რომელმაც გამოიკვლია პრეზიდენტ კენედის მოკვლის გარემოებანი. კომისია, როგორც ცნობილია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კენედი მოკლა საზღვაო ქვეითი ჯარის ყოფილმა ჯარისკაცმა ლი ჰარვი ოსვალდმა, რომ ოსვალდი „მარტო" მოქმედებდა და რომ „არავინ არ ეხმარებოდა მას მკვლელობის დაგეგმვასა თუ განხორციელებაში". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომისიას „არ აღმოუჩენია იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ოსვალდი ან რუბი რაიმე შეთქმულების ნაწილი იყვნენ".

მიუხედავად ესოდენ კატეგორიული მტკიცებისა, რის დადასტურებას ემსახურება 888 გვერდიანი მოხსენება, უამრავი ფაქტი და მოწმეთა ჩვენების ანალიზი, ბევრ მეთვალყურეს დასავლეთში ეეჭვება კომისიის დასკვნების სისწორე.

ცნობილია, რომ ისეთი იურისტები, როგორიც არიან ბიუკენენი და ლეინი, საკუთარი პასუხისმგებლობითა და რისკით შეუდგნენ გამოძიებას და გამოაქვეყნეს საკმაოდ ბევრი დაწვრილებითი ცნობა, რომლებიც ბევრ რამეში ეწინააღმდეგება ამ „საუკუნის დანაშაულის" ოფიციალურ სურათს.

თავისი ვერსია წამოაყენა აგრეთვე ამერიკელმა პუბლიცისტმა, წარმოშობით გერმანელმა, იოაჰიმ იოსტენმა. კრიტიკულად, ფურცელ-ფურცელ, სტრიქონ-სტრიქონ გადაიკითხა მან უორენის კომისიის მოხსენება, ადარებდა, ერთმანეთთან აჯერებდა, ანალიზს უკეთებდა მის ცალკეულ დებულებებს — და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კომისიის შრომა „ფუნჯის ფართოდ მოსმით ხატავს ფრიად რაფინირებული, უხვად დაფინანსებული და ძალიან მარჯვედ ინსცენირებული შეთქმულების პანორამას. რა პარადოქსალურადაც უნდა ჟღერდეს ეს, — წერს იოსტენი, — სინამდვილეში უორენის მოხსენება ცხადყოფს მთელ სიმართლეს კენედის მოკვლის შესახებ, თუმცა იქ გამოტანილია დასკვნები, რომლებიც მთლიანად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას".

მისი ვრცელი სტატია ამის შესახებ გამოქვეყნებულია შვეიცარიულ ჟურნალ „ველტვოხეში", ჩვენ გვინდა გავაცნოთ საბჭოთა მკითხველს მისი შინაარსი. „იგი იკითხება, — წერს „ველტვოხე", — როგორც დეტექტიური რომანის ნაწყვეტი, თუმცა ეს უაღრესად რეალური სინამდვილეა".

ძნელი როდია იმის შენიშვნა, წერს იოსტენი, რომ უორენის კომისიის მოხსენების ყველაზე სუსტი რგოლია ის, რომ ოსვალდს სრულიად არ ჰქონია მკვლელობის რაიმე დამაჯერებელი მოტივი. მოხსენების ავტორთა ვრცელი სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური მსჯელობიდან შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ის, რომ ოსვალდი იყო გაბოროტებული უიღბლო ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა შური ეძია საზოგადოებაზე ჰეროსტრატეს მსგავსად. მაგრამ თუ ოსვალდს „ჰეროსტრატესეული კომპლექსი" ამოქმედებდა, რატომ უარყოფდა იგი თვით სიკვდილამდე, რომ წილი ედო მკვლელობაში? „როგორ შეიძლება ჰეროსტრატეს სახელის მოპოვება ანონიმად დარჩენის შემთხვევაში?" — კითხულობს იოსტენი.

„გაუკეთდეს ოპტიკური სამიზნე და შემოწმდეს სიზუსტე" — ასეთი ჩანაწერი გააკეთა დაიელ დ. რაიდერმა, ირვინგის სპორტული სახელოსნოს მეიარაღემ, შეკვეთის ფურცელზე, რომელიც თოფს მიამაგრა. ამას მოჰყვა ჩვეულებრივი კითხვა: „თქვენი გვარი მიბრძანეთ". — „ოსვალდი". კლიენტმა დასძინა: „ეს საკმარისია — მხოლოდ ოსვალდი. მე თვითონ წავიღებ თოფს ორიოდე დღის შემდეგ".

რამდენიმე დღის შემდეგ ადამიანი, რომელმაც თავს ოსვალდი უწოდა, გამოჩნდა ირვინგიდან 4 კილომეტრზე და დალასიდან 15 კილომეტრზე მდებარე ტირში. მან დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და, როგორც ჩანს, ესწრაფოდა ამას. უცნობი არა მარტო სნაიპერულად ახვედრებდა მიზანში, ზოგჯერ ერთბაშადაც რომ ესროდა რამდენიმე ნიშანს, იგი ზოგჯერ ისროდა იმ მიმართულებით, სადაც ტირში მყოფნი იდგნენ, და თოფს მათ თითქმის სახეში უმიზნებდა. განა შეუძლია ხელოსან პარლენდ გ. სლეკს დაივიწყოს ადამიანი, რომელიც პირდაპირ უმიზნებდა მას? „ასეთი სახე მთელ სიცოცხლეში არ დაგავიწყდება!" — განაცხადა სლეკმა ინტერვიუში. სლეკი მას ორჯერ შეხვდა: 9 და 17 ნოემბერს.

ეს ფაქტები პირველად გამოაქვეყნა დალასის პოლიციამ, და ისინი, რა თქმა უნდა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა უორენის კომისიას. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კომისიამ სხვა ფაქტებიც გამოავლინა: „ახელდობრ ის, რომ ლი ოსვალდი არ ყოფილა ტირში და თავის თოფზე არ გააკეთებინებია ოპტიკური სამიზნე. თვითული ნაბიჯი, რომელიც მას ამ კვირაში ჯადაუდგამს, გულდასმით იქნა გამოკვლეული ერთ წუთამდე სიზუსტით — ოსვალდს არ შეეძლო ტირში ყოფილიყო. შემდეგ გამოირკვა, რომ თოფზე, რომელიც ჩიკაგოს ფირმამ გაუგზავნა ოსვალდს, უკვე დამონტაჟებული იყო ოპტიკური სამიზნე. გარდა ამისა, ნასროლი ტყვიების გულდასმით შემოწმებისას, რომლებიც გროვად ეყარა ტირის ეზოში, არ აღმოჩნდა არც ერთი, რომელიც ოსვალდის თოფს მორგებოდა.

მაგრამ დალასის მიდამოებში იქნება არის სხვა ოსვალდი, რომელმაც ირვინგში თოფზე ოპტიკური სამიზნე გააკეთებინა და ტირში ისროდა? ოსვალდი საკმაოდ იშვიათი გვარია, და კომისია მტკიცედ დარწმუნებული აღნიშნავს, რომ „დალასისა და ფორტ უორტის რაიონში ვერ მოხერხდა ოსვალდის გვარის რომელიმე სხვა პირის აღმოჩენა, რომელსაც ირვინგის სპორტულ სახელოსნოში მიეცეს თავისი თოფი რემონტისათვის".

მაშ როგორ ხსნის ამ წინააღმდეგობას თვით უორენის კომისია? იგი, ამბობს იოსტენი, პირდაპირ ახდენს მოწმეთა იმ ჩვენების დეზავუირებას, რომელიც მკვლელობის ოფიციალურ სურათს არ ეთანხმება. მაგალითად მეიარაღე რაიდერს ბრალად წაუყენეს ის, რომ „ოსვალდის" თოფზე ოპტიკური სამიზნის გაკეთების ამბავი არ აუწყა ფირმის შეფს მანამდე, სანამ ამას საჯაროდ განაცხადებდა. რაც შეეხება რაიდერის მიერ წარდგენილ შეკვეთის ფურცელს, კომისიამ საეჭვოდ მიიჩნია მისი სინამდვილე.

მაგრამ საქმე ხომ მკვლელობას, პრეზიდენტის მოკვლას ეხება! როგორ შეიძლებოდა, კითხულობს ავტორი არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენმა დაჟინებით არ მოითხოვა პასუხისგებაში მიეცათ რაიდერი (და სხვა მოწმენი, რომლებმაც, კომისიის აზრით, აშკარად ყალბი ჩვენება მისცეს) მართლმსაჯულების მოტყუებისათვის და იმის ცდისათვის, რომ გამოძიება მცდარ გზაზე დაეყენებინათ?! „მაგრამ ჩვენ დღემდე ერთი სიტყვაც არა გვსმენია, რომ სისხლის სამართლის დევნა აღეძრათ თუნდაც ერთადერთ შემთხვევაში", — შენიშნავს იოსტენი.

ამას ძალიან ჰგავს ეპიზოდი, რომელიც აგრეთვე მოხსენიებულია უორენის მოხსენებაში. ქ-ნმა უიტუორტმა, ირვინგში ავეჯის მაღაზიის პატრონმა, და მისმა მეგობარმა ქ-ნმა ჰანტერმა ფიცით აჩვენეს, რომ ნოემბრის დამდეგს მაღაზიაში შევიდა ერთი კაცი და მაშინვე მიიქცია ყურადღება რამდენადმე უცნაური კითხვით: მაღაზიაში შაშხანის სათადარიგო ნაწილები ხომ არ იყიდებაო. ქ-ნმა უიტუორტმა გაკვირვებით უპასუხა, ჩვეულებრივად ავეჯის მაღაზიის ასორტიმენტში იარაღი არ შედისო. მაშინ უცნობმა მაღაზია დატოვა, მივიდა ავტომობილთან, რომლითაც მოსული იყო, და მალე დაბრუნდა ცოლთან და ორ ბავშვთან ერთად. ავეჯს რომ ათვალიერებდნენ, ნახევარი საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ მაღაზიის პატრონსა და მის მეგობარს, ამასთან გამოირკვა, რომ მყიდველთა უმცროსი გოგონა დაბადებულა ორიოდე კვირის წინათ, „უფრო ზუსტად, 20 ოქტომბერს". ეს განსაცვიფრებლად ემთხვევა ოსვალდის უმცროსი გოგონას დაბადების დღეს! ეს განსაცვიფრებელია მით უფრო, რომ გამოქვეყნდა თუ არა პრესაში ოსვალდისა და მისი ცოლის ფოტოსურათები, ორივე ქალმა იცნო მაშინდელი მყიდველები ან, უფრო ზუსტად, ადამიანები, რომლებიც ძალიან ჰგვანდნენ მათ".

მაგრამ ეს განცხადებები ნდობის ღირსად არ იქნა მიჩნეული. მიზეზი? თურმე ქ-ნ ჰანტერს „სხვის საქმეებში ჩარევა უყვარს". მაგრამ, კითხულობს იოსტენი, უორენის კომისიამ იმიტომ ხომ არ უარყო ამ მოწმეთა ჩვენება, რომ ეს ჩვენება ეწინააღმდეგება უფრო გვიან გამორკვეულ გარემოებებს: რომ არც ოსვალდმა და არც მისმა ცოლმა ავტომობილის ტარება არ იცოდნენ და რომ შეუძლებელი იყო მათი ყოფნა მაღაზიაში იმ მომენტში, როცა კოლეგები ოსვალდს სამუშაოზე ხედავდნენ, სახლის პატრონი ქალი კი მის ცოლს ბინაზე ესაუბრებოდა?

იოსტენი გააკვირვა იმან, რომ, მოწმეთა ის ჩვენებანი, რომლებიც კომისიამ „უკუაგდო", თუ მათ ერთად შევკრებთ, გარდუვალად გვაფიქრებინებენ, რომ ვიღაც განზრახ ამზადებდა მოწმეებს მომავალი გამოძიებისათვის, როგორც ინგლისელები ამბობენ, „ნერგავდა სამხილებს". ეს მეთოდი კარგად არის ცნობილი ამერიკის სისხლის სამართლის „პრაქტიკაში", სადაც მას იყენებენ იმისათვის, რომ ეჭვები ჩამოაშორონ ნამდვილ დამნაშავეებს, მას ეწოდება frame up, ესე იგი სამხილების ჩაწყობა (სიტყვასიტყვით — „კანტის შემოვლება", „ჩარჩოში ჩასმა",). და თუ ამასთან „კანტის შემომვლებთ" მხედველობიდან გამორჩათ, რომ ნამდვილმა ოსვალდმა ავტომობილის ტარება არ იცოდა, განა ღირს, რომ ეს მათ დანაშაულად ჩაუთვალოთ? მათ მხოლოდ დაავიწყდათ შეემოწმებინათ ეს.

იოსტენი ასეთ დასკვნამდე მიდის: „მოხსენებიდან სავსებით მკაფიოდ გამომდინარეობს, რომ 1963 წლის ნოემბრის დამდეგს ვიღაც კაცმა, რომელიც საოცრად ჰგავდა ოსვალდს, სცადა ყალბი სამხილების ქსელში გაეხვია ეს უკანასკნელი".

დასტურდება ასეთი კაცის არსებობა თუ იგი ამერიკელი პუბლიცისტის გამონაგონია? ირკვევა, რომ ოსვალდის ორეულის არსებობას დაჟინებით ამტკიცებს... უორენის კომისიის მოხსენება. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, უორენის კომისია იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც ცდილობს რაღაც უარყოს და სხვა რამეს კი წამოაყრანტალებს. მოხსენების იმ განყოფილებაში, რომელსაც აქვს კატეგორიული სათაური „რუბი და ოსვალდი ერთმანეთს არ იცნობდნენ", ნათქვამია: „ზოგიერთი იმ მოწმის განცხადებანი, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს უნახავთ რუბი კაცთან, რომელიც, მათი აზრით, შეიძლებოდა ოსვალდი ყოფილიყო, მეტი ყურადღებით განხილვის ღირსია... არსებობს საფუძველი მიჩნეულ იქნას ლარი კრეიფარდი იმ პიროვნებად, რომელიც ამ შემთხვევაში თან ახლდა რუბის... რუთ პეინმა თქვა, რომ კრეიფარდის ფოტო ძლიერ ჰგავს ოსვალდს".

ვინ არის კრეიფარდი, რომლის შესახებ ფართო მკითხველმა დღემდე არაფერი იცოდა? უორენის მოხსენება უპასუხებს: „კრეიფარდი, გაურკვეველი საქმიანობის ადამიანი, „რუბისათვის" მუშაობდა 1963 წლის შუა ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე. კენედის მოკვლის მეორე დღეს კრეიფარდი უცნაურად გაქრა დალასიდან. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ იგი მიჩიგანში აღმოაჩინა. მაგრამ უორენის კომისიამ გაურკვეველი მიზეზით კრეიფარდს უშუალოდ არ დაჰკითხა, არამედ მის დასაკითხავად გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, რითაც თავიდან აიცილა იმის საჭიროება, რომ აზრი გამოეთქვა კრეიფარდისა და ოსვალდის მსგავსების თაობაზე. ხოლო იმის გარკვევა, თუ როგორი იყო ეს მსგავსება, ბევრ რამეში დაეხმარებოდა კომისიას თუნდაც იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რამდენად სარწმუნო იყო პოლიციელ როჯერ კრეიგის ჩვენება (ფიცით მიცემული მისი განცხადება, რომ მან ნახა, თუ მკვლელობის 15 წუთის შემდეგ ოსვალდი როგორ ჩაჯდა ღია ფერის ავტომობილში და გაემართა რკინიგზის გვირაბისაკენ, უარყოფილ იქნა მკითხველისათვის უკვე ცნობილი მოსაზრებებით). მაგრამ უორენის კომისია არ დაინტერესებულა შეხედა კრეიფარდისათვის და, უფრო მეტიც, ინტერესი არ გამოუჩენია იმისადმი, თუ რატომ არ იყო პრესაში მისი არც ერთი ფოტოსურათი.

მაგრამ თუ ოსვალდს არ მოუკლავს კენედი, მაშ ვინ არის მკვლელი? „ველტვოხეში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოხერხდება „მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანად გამოქვეყნდება კომისიაში მოწმეთა დაკითხვის ყველა ოქმი, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება... მაგრამ გარკვეულ წრეებს იმედი აქვთ, — წერს იოსტენი, რომ ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო უკვე დაივიწყებს კენედისაც, ოსვალდსაც, რუბისაც, ვინაიდან მთელი ეს საქმე დიდი ხნით იქნება მიჩქმალული, და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ რომელიმე ისტორიკოსი დაინტერესდება ოქმებით".

იოსტენი სწორედ ასე ამთავრებს თავის სტატიას: „ვინც გულდასმით შეისწავლის მოხსენების არა მარტო ტექსტს, არამედ დანართსაც, შეძლებს გამოარკვიოს, რომ უშუალოდ 22 ნოემბრის წინ რუბი გაკოტრებული იყო. მარტო გადასახადების მხრივ მისი დავალიანება 45.000 დოლარს შეადგენდა, და მას არ შეეძლო ჯამაგირი მიეცა თავისი მოსამსახურეებისათვის. მაგრამ იმ კვირას, 24 ნოემბერს, როცა რუბი პოლიციის სამმართველოში წავიდა, რომ ოსვალდი მოეკლა, 2.000 დოლარი საფულეში ედო, და კიდევ ათასი დოლარი — ავტომობილის იმ ყუთში, სადაც ხელთათმანებს დებენ.

და ამით, კაცმა რომ თქვას, აიხსნება ყველაფერი!"

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მაღაროელთა კადრები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების სამჭედლოა ჭიათურის პროფტექნიკური სასწავლებელი. ელმავლის მემანქანეები, მიწისქვეშა სამთო მექანიზმებზე მომუშავენი, ექსკავატორის მემანქანეები, ხუროები — აი რა პროფესიის ახალგაზრდებს უშვებს სასწავლებელი.

სწავლების მაღალი ხარისხისათვის იბრძვიან საწარმოო სწავლების ოსტატები უ. ხვედელიძე, ა. მაჭავარიანი, გ. იაკობიძე, გ. ქაშაკაშვილი, დ. ბუზალაძე, რ. ჯაფარიძე, თეორიული სწავლების მასწავლებლები გ. ჭილლაძე, პ. ცხადაძე, ბ. ოტიაშვილი.

პროფტექნიკური სასწავლებლის მსმენელები — რ. ნასრაძე, გ. გიორგაძე, გ. ღვინიაშვილი, ფ. სამხარაძე, ა. შავგულიძე, გ. ქართველიშვილი და სხვები გულმოდგინედ სწავლობენ, ოსტატდებიან და პრაქტიკული მუშაობის ჩვევებს იძენენ.

„უცნაური ნაძვისხე"

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის კლუბში მხიარული განწყობილება იგრძნობა. ხალისიანად ფუსფუსებენ, საუბრობენ, რთავენ საახალწლო ნაძვისხეს სახელოვანი რკინიგზელები.

რა დროს ახალი წელი და ნაძვისხის მორთვააო, იტყვის მკითხველი. მაგრამ რკინიგზელებს აქვთ სამისო საბუთი. მათთვის დღეიდან ახალი, 1965 წელი დაიწყო. ისინი უკვე მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

სადგურის კოლექტივმა, რომელიც ბაქოს რკინიგზელებს ეჯიბრება, 20 დეკემბრისათვის 157 პროცენტით შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა. ასევე გადაჭარბებით შესრულა გადმოტვირთვის გეგმაც. შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს 37 პროცენტით გადააჭარბა.

ამ გამარჯვებას მიუძღვნეს რკინიგზელებმა საზეიმო საღამო, რომელსაც „უცნაური ნაძვისხე" უწოდეს. საღამოზე სადგურის უფროსმა გ. შეყრილაძემ დამსწრეთ გააცნო გასული სამეურნეო წლის შედეგები და მიულოცა რკინიგზელებს გამარჯვება.

დარბაზში შემოდის საჩუქრებით დატვირთული „თოვლის პაპა"... რკინიგზელებმა იცნეს უხუცესი რკინიგზელი ეპიფანე გიორგაძე, რომელიც ექვს ათეულ წელზე მეტია რკინიგზაზე მსახურობს. მან დამსწრეებს მიულოცა შრომით მოპოვებული წარმატება და მოწინავეებს გადასცა ქების სიგელები, ფულადი ჯილდოები. იგი აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ სოციალისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭათ მოწინავე მეისრეს ბ. აბულაძეს, მუშას გ. ქსოვრელს და სხვებს.

რკინიგზელებმა ერთხმად გადაწყვიტეს გადაჭარბებით შეასრულონ 1965 წლის საწარმოო გეგმით გათვალისწინებული დავალებანი.

ც. სისაური.

ეს სურათი ბაკურიანში როდია გადაღებული. არანაკლებ სასიამოვნოა თხილამურებით სეირნობა რაჭაში — ურავის ლამაზ მიდამოებში.

ფოტოეტიუდი ხ. კილაძისა.

მოკლედ

ყურადღება! — ლაპარაკობს მეექვსე შახტის რადიოკვანძი, მოისმინეთ გადაცემა „უსაშიშროების ტექნიკის დაცვა შახტში", — გაისმის დიქტორის ხმა. აქ ყოველდღიურად გადასცემენ შახტში უსაშიშროების წესების დაცვის შესახებ ფირზე წინასწარ ჩაწერილ თემებს. ასეთი გადაცემები პირველია ტყვარჩელის შახტებში.

ალ. ჭითანავა.

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობამ დაბა ორჯონიკიძეში მოაწყო სკოლა-სასადილო. აქ ახალგაზრდებს მზარეულობას ასწავლიან გამოცდილი და კვალიფიციური კულინარები. სწავლის ხანგრძლივობა ცხრა თვეა.

საქავტოგზის თელავის განყოფილებამ მახარაძის ქუჩაზე გახსნა ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების მაღაზია.

ახალ მაღაზიაში იყიდება მსუბუქი ავტომანქანების, აგრეთვე მოტოციკლებისა და ველოსიპედების სათადარიგო ნაწილები.

გ. ფინკო.

გერმანული პრესის ფურცლებზე

სიჭაბუკის ქვეყნის მოხუცები

„მათუსალები კავკასიაში" ამ სათაურით საინტერესო სტატია გამოაქვეყნა ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველკვირეულმა გაზეთმა „ვოხენპოსტმა".

„მათუსალას ასაკი"... მეგრძელობის სინონიმია და ევროპულმა ენებმა იგი აღმოსავლური ენებისაგან ისესხეს. ეს ფიგურალური გამოთქმა ეტიმოლოგიური წარმოშობით ბიბლიასთან არის დაკავშირებული. ბიბლიური მითოლოგიით მათუსალა იყო ერთ-ერთი პატრიარქი, მითიურ ნოეს ბაბუა, რომელმაც თურმე, არც მეტი და არც ნაკლები, 969 წელი იცოცხლა.

ევროპელი ჟურნალისტი ლეგენდების რომანტიკულ ბურუსში ხედავს კავკასიას. ეს გასაგებიც არის. მისთვის სიტყვა კავკასია უპირველეს ყოვლისა პრომეთესთან და არგონავტებთან არის დაკავშირებული. ამირანისა და ოქროს საწმისის მიწაზე ის მათუსალებსაც ხედავს.

„საბჭოთა კავშირში", — წერს „ვოხენპოსტი" — მოსახლეობის უკანასკნელი აღწერით 21.000 მეტზე მცხოვრებია, რომლებიც ასზე მეტი წლისანი არიან. მათი ათი პროცენტი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ცხოვრობს".

გერმანული ყოველკვირეული შენიშნავს, რომ საქართველოს დედაქალაქ თბილისში შექმნილია სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ მეცნიერების — გერონტოლოგიის სპეციალური სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი, რომელიც ადამიანთა სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობის მიზეზებსა და დეტალებს იკვლევს. ამ ცენტრის დირექტორის დოქტორ გ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით — წერს „ვოხენპოსტი" — საკვლევი ცენტრის თანამშრომლებმა 80 წელს გადაცილებულ 20.000 მცხოვრებს ესაუბრნენ და გამოიკვლიეს ისინი. დამუშავდა კვლევის მასალები მეცნიერული თვალსაზრისით, სიცოცხლის ხანგრძლივობის მრავალი საინტერესო დეტალი აღწერეს.

„ქართველ მათუსალათა უმრავლესობა ცხოვრობს ზღვის სანაპიროზეც და მთაშიც 1500 მეტრ სიმაღლემდე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კავკასიონის ორივე კალთებზე და კოლხეთის დაბლობში, განაგრძობს გაზეთი „ვოხენპოსტი". ყველა ღრმა მოხუცი ცოლშვილიანია და ჰყავს მრავალრიცხოვანი ოჯახი. გერმანულ ყოველკვირეულს საილუსტრაციოდ მოჰყავს სოფელ გუდასახის მცხოვრების 115 წლის კოლმეურნე რეჯებ ქამადაძის ოჯახი. მას 8 ქალიშვილი და ვაჟიშვილი ჰყავს და შვილიშვილებთან ერთად 96 სულს ითვლის. ეს გიგანტი ოჯახი ერთმეტ სახლში ცხოვრობს.

„ვოხენპოსტი" შენიშნავს, რომ კავკასიელ ღრმად მოხუცებს თავის სიცოცხლეში არასოდეს არ განუცდიათ ავადმყოფობა და არ მიუმართავთ ექიმისათვის. საინტერესოა, შენიშნავს „ვოხენპოსტი", რომ ქართველ მათუსალებს დამშვიდებული ნერვული სისტემა და საღი მეხსიერება აქვთ. მათი სმენა და მხედველობა მათს ასაკთან შედარებით ჩაუქრობია".

„ვოხენპოსტი" წერს სიცოცხლის ხანგრძლივობის კავკასიურ „საიდუმლოებაზეც". ქართველი მათუსალები მტკიცედ იცავენ კვების რეჟიმს დღეში ჭამენ სამჯერ ან ოთხჯერ, მაგრამ არასოდეს მეტჯერ. მათუსალათა მენიუც აღწერილია „ვოხენპოსტში". ას წელს გადაცილებული ქართველი მოხუცები იკვებებიან ყველა სახის შეჭამადით, მაგრამ არ ხმარობენ ზომაზე მეტად ალკოჰოლს და სრულებით არ ეწევიან თამბაქოს. თვითონ ქართველი მათუსალები თავიანთ დღეგრძელობას მიაწერენ იმას, რომ საჭმლად ხმარობენ თაფლს, ყურძენსა და ციტრუსების ნაყოფს, ექიმები ამას გარდა ასახელებენ სხვა ხილსა და ბოსტნეულს, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ ვიტამინ „C"-ს. კავკასიელ მათუსალათა ორგანიზმი თითქმის დაზღვეულია არტერიული სკლეროზის გამანადგურებელი მოქმედებისაგან — ვკითხულობთ გაზეთში.

სასიამოვნოა, რომ ქართველ გერონტოლოგთა მუშაობა გერმანული პრესის ყურადღებას იპყრობს.

ვლ. ალფენიძე.

საახალწლოდ კარგი საჩუქარი მიიღეს თბილისის პლასტმასის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა — კეთილმოწყობილი სასადილო. მას 700 კვ. მეტრი ფართობი უჭირავს. **სურათზე:** სასადილო დარბაზი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შემოქმედებით ძიებაში

„კომუნისტის" პრიზზე

თითქმის მთელი ღამე გავათენეთ მე და ოსტატმა ბუსლაევმა, რომ ჩემპიონატის 200-მდე პარტიიდან მოგვენახა ერთი, რომელიც გაზეთ „კომუნისტის" პრიზის ღირსი იქნებოდა, — მიამბობდა გროსმაისტერი მ. ტალი, რომელსაც მსაჯთა კოლეგიამ ჟიურის ხელმძღვანელობა სთხოვა. — კარგად გათამაშებული პარტიები საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. არჩევანიც დიდი იყო. ბოლოს შევთანხმდით, რომ საუკეთესოა ჩემპიონატის დებიუტანტების ელენე რუბცოვასა და ნანა ალექსანდრიას პარტია.

— იკითხავთ, რატომ? — განაგრძობს მ. ტალი. — აქ გარკვეული როლი ჩემმა გემოვნებამაც ითამაშა. მხიბლავს დაძაბული ბრძოლა, რომელიც მოჭადრაკისაგან დიდ მოსაზრებულობას, შემართებასა და ენერგიას მოითხოვს. სწორედ ასე თამაშობდნენ ჩვენი სახელოვანი გოგონები. ბრძოლაში მათ დიდი ნიჭი, რაინდული სულისკვეთება და ფანტაზია გამოავლინეს.

და მართლაც, პარტიაში გამართული ბრძოლა თუმცა ხანმოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი აღმოჩნდა.

ე. რუბცოვა — ნ. ალექსანდრია

შოტლანდიური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 მf6 4. d4 (მწვავე გაგრძელება, რომელიც თეორიაში „ბელგრადის გამბიტადაა" ცნობილი) 4. ... კb4 (ალექსანდრია ჰყვება მეტოქეს, მაშინ, როცა 4. ... კe7 შემდეგ თამაში თანაბარი იქნებოდა) 5. მ:e5 მ:e4 6. ლg4 მ:c3 7. ლ:g7 ეf8

ეს სვლა არ მოეწონა ნონა გაფრინდაშვილს. მართლაც, 7. ... ლf6 8. ლ:f6 მd5+ 9. c3 მ:f6 10. cb მ:d4 შემდეგ შავებს პერსპექტიული პოზიცია ექნებოდათ. ახლა თეთრები მტკიცედ ეუფლებიან ინიციატივას.

8. a3 მa2+ (თეორიას თეთრებისთვის უკეთესად მიაჩნია 8. ... კa5 9. მ:c6 dc 10. ლe5+ლe7 11. ლ:e7+მფ:e7 12. კd2 კf5 13. კ:c3 კ:c3 14. bc კ:c2. ამიტომ თბილისელი მოსწავლე სხვა გზას ეძებს) 9. ab მ:c1 10. კc4 (იერიშის საუცხოო გაგრძელება) 10. ... ლe7!



11. 0—0

უკვე ამ დროს ორივე მეტოქე ცაიტნოტში იყო. მოსკოველი მოჭადრაკე არ ერიდება შეწირვებს, რადგან ცენტრში დარჩენილი შავი მეფე იერიშის შესანიშნავი ობიექტია.

11. ... მ:d4 12. ეa:c1 d5

ნანა ალექსანდრიას თქმით აქ შავებისათვის უკეთესი იყო 12. ... f6 ენდშპილში გადასვლით. ფიგურის შეწირვით თეთრები იერიშს იწყებენ.

13. ეfe1 მe6 (ერთადერთია. თუ 13. ... dc 14. მg6 მe6 15. ე:e6!) 14. ლ:h7 (უკეთესი ჩანს 14. კb5+, რადგან არ შეიძლება 14. ... c6 15. მ:c6 bc 16. კ:c6+ გამო) 14. ... dc 15. ეad1 ლf6

ე. რუბცოვას ფიგურა აკლია, მაგრამ შავების განუვითარებლობა ამის საკმაო კომპენსაციაა. ძნელია შავებს რაიმე კარგი ურჩიო. გაკეთებული სვლა ყველაზე ბუნებრივი ჩანს.

16 c3 ეh8 17. მg4 ლh4 18. ლg7 მფe7 19. g3 ეh7?

უხეში შეცდომა ცაიტნოტში. აუცილებელი იყო 19. ... ლh7 დიდი წინააღმდეგობის გაწევით. ახლა თეთრები ადვილად აღწევენ მატერიალურ უპირატესობას. პარტია სწრაფ ტემპში ასე გაგრძელდა:

20. ლd4 მფf8 21. ე:e6! (იერიშის ლოგიკური ფინალი) 21. ... კ:e6 22. gh ე:h4 23. ლc5+ და შავები დანებდნენ, რადგან ეტლი იკარგება.

თ. გიორგაძე,

სსრ კავშირის ქალთა XXIV ჩემპიონატის მთავარი მსაჯის მოადგილე.

ვინ შეხვდება გაფრინდაშვილს?

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილის მეტოქის გამოსავლენად სამთა მატჩ-ტურნირის მეორე პარტია მ. ლაზარევიჩსა (იუგოსლავია) და ა. კუშნირს (სსრ კავშირი) შორის გადაიდო.

მოსკოველმა ა. კუშნირმა პასიურად ჩაატარა ბრძოლა. სიცილიურ დაცვაში მან დაუშვა არაერთი უზუსტობა. ამან მ. ლაზარევიჩს საშუალება მისცა ხელთ ეგდო ინიციატივა, მხედრის დროებითი შეწირვით მოეგო პაიკი და მოსაგები პოზიცია მიეღო.

შემდგომ იუგოსლაველმა მოჭადრაკემ გააკეთა არაზუსტი სვლა და კუშნირმა ერთგვარად შეაფერხა თეთრების პაიკების წინსვლა, მაგრამ მისი პოზიცია მაინც არასახარბიელო დარჩა. 45-ე სვლაზე პარტია გადაიდო. მ. ლაზარევიჩი მოგების შანსებს ინარჩუნებს.

გუშინ საღამოს გაიმართა გადადებული პარტიის დამთავრება. მე-80 სვლაზე გაიმარჯვა მ. ლაზარევიჩმა.

მესამე ტურში, რომელიც დღეს შედგება მ. ლაზარევიჩი შავებით ეთამაშება ტ. ზატულოვსკაიას.

ათი საუკეთესო

ევროპის უძლიერეს ფეხბურთელთა ათეულში შევიდა ჩვენი ქვეყნის ორი წარმომადგენელი — ლევ იაშინი და ვალერი ვორონინი. ეს ათეული შედგა 1964 წლის სეზონის მიხედვით 21 ქვეყნის სპორტულ მიმომხილველთა გამოკითხვით.

ათეულს სათავეში უდგას შოტლანდიელი დენის ლოუ, რომელიც მონაწილეობდა ფიფასა და ევროპის ნაკრებში.

აი როგორ გამოიყურება ეს ათეული: დ. ლოუ („მანჩესტერ იუნაიტედი"), ლ. სუარესი („ინტერნაციონალე", იტალია), ა. ამანსიო („რეალი", ესპანეთი), ეუსებიო („ბენფიკა", პორტუგალია), პ. ვან ჰიმსტი („ანდერლეხტი", ბელგია), დ. გრივსი („ტოტენჰემ ჰოტსპურსი", ინგლისი), მ. კორსო („ინტერნაციონალე", იტალია), ლ. იაშინი, დ. რივერა („მილანი", იტალია), ვ. ვორონინი.

როგორ მიედინება ჰოლფსტრიმი

კუბის დედაქალაქ ჰავანის საზღვაო ჭიშკართან იწყება ცნობილი ჰოლფსტრიმი. ეს მძლავრი ნაკადი ატლანტიკაში აღმოაჩინეს ესპანელმა მეზღვაურებმა 1513 წელს. ესპანეთი დიდხან ინახავდა თბილი დინების საიდუმლოებას. მხოლოდ 1770 წელს ვეშაპთსანადირო ხომალდის კაპიტანმა ფოლგერმა შეადგინა მისი მოძრაობის პირველი რუკა. უფრო გვიან ოკეანოგრაფმა მორიმ დაასკვნა, რომ ჰოლფსტრიმს, მძლავრი მდინარის მსგავსად, თბილი წყლები მხოლოდ ერთი მიმართულებით მიაქვს.

მაგრამ 1950 წელს წამოყენებულ იქნა ახალი ჰიპოთეზა: ჰოლფსტრიმი მდინარე არ არის, მისი მოძრაობის ბუნება ტალღისებრია. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ჰიპოთეზა? თუ მას მივიღებთ, უნდა გადაისინჯოს სანავიგაციო რუკები, რადგან სხვანაირად არ შეიძლება ზღვაოსნობისა და თევზჭერის დაგეგმვა იქ, სადაც ჰოლფსტრიმი მიედინება. გარდა ამისა, საჭირო გახდება სხვანაირად შეფასდეს მისი გავლენა ევროპის კონტინენტის ჰავაზე.

ჩვენს კითხვაზე გვიპასუხა ატლანტიკაში ოკეანოგრაფიული ექსპედიციების მეცნიერმა ხელმძღვანელმა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა **მიხეილ კაზანსკიმ.**

— ოთხი წლის განმავლობაში ზედიზედ უახლესი ხელსაწყოებით აღჭურვილი შვიდი საბჭოთა ხომალდი საგულდაგულო დაკვირვებას აწარმოებდა ჰოლფსტრიმზე. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ სანავიგაციო რუკებზე აღნიშნული მდებარეობა მისი ღერძისა სინამდვილეს არ შეეფერება. დინებას კლაკნილი მოხაზულობა აქვს, მარჯვნივ და მარცხნივ იხრება, ხოლო თვით ტანი განუწყვეტლივ ფეთქავს, ქმნის წყლის ხშულ მიმოქცევასა და ხვეულებს ასობით მილ ფართობზე.

ჩვენი მონაცემებით, დინების სისწრაფე აღწევს ხან ცამეტ-ნახევარ კილომეტრს საათში, ხან ხუთ-ექვსჯერ მცირდება. ნაკადი გადადის ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე. და ასეა ბევრ რაიონში.

რამდენიმე ტონა სიმძიმის ტივტივებზე მოწყობილი სადგურების საშუალებით, რომლებზეც თვითჩამწერი აპარატები იდგა, ჩვენ ვზომავდით დინებათა სიჩქარესა და მიმართულებას სხვადასხვა სიღრმეზე. ჩაწერა ხდებოდა ყოველ ათ წუთში ბევრი დღეღამის განმავლობაში. ამან შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ობიექტური მაჩვენებლები ვრცელ ტერიტორიაზე სიღრმის დინებათა თავისებურებების შესახებ.

ჰოლფსტრიმი შედგება სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე მრავალი ჭავლისაგან, დინებებისა და საწინააღმდეგო დინებებისაგან.

მრავალფეროვანი გიგანტური ნაკადის საზღვაო ფაუნა. თევზი და პლანქტონი წყლის მხოლოდ გარკვეული ტემპერატურისა და მარილიანობის პირობებში ცხოვრობენ. ეს პირობები რომ შეიცვალოს, თევზი წავა. ასე მოხდა წყნარ ოკეანეში: როცა კუროსივო იაპონიის ნაპირებს მიეკრა, შეწყდა ივასის ჭერა საბჭოთა სანაპირო წყლებში. თუ გვეცოდინება, როგორ და სად განტოტდება ჰოლფსტრიმის ჭავლები, შეიძლება მივუთითოთ თევზსაჭერ გემებს, სად უფრო ნაყოფიერად შეუძლიათ აწარმოონ რეწვა.

დროგამოშვებით ჩრდილოეთ ატლანტიკაში დიდი რაოდენობით გროვდება აისბერგები. ეს იმით აიხსნება, რომ შეიცვალა ჰოლფსტრიმის თბილი ჭავლების მიმართულება და სიჩქარე. ამ პულსაციების თავისებურებებს თუ შევისწავლით, შეიძლება წინასწარ გავაფრთხილოთ ზღვაოსნები ყინულებთან შესაძლო და არასასურველი შეხვედრის შესახებ.

მიჩნეული იყო, რომ ჰოლფსტრიმი უფრო ზომიერს ხდის ევროპის ჰავას. მაგრამ თბილი წყლის ის მარაგი, რაც დინებას მოაქვს, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს ჰავაზე. ურთიერთდამოკიდებულება აქ უფრო რთულია: დინება წარმოშობს ციკლონებს, რომლებსაც ევროპაში დიდი რაოდენობით მოაქვთ ტენიანი ჰაერი, და ისინი აყალიბებენ კონტინენტის ჰავას.

მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ გამოიცნონ, როგორ წარმოიქმნება ჰოლფსტრიმი. ფართოდ გავრცელებულია ჰიპოთეზა, რომ თავის წარმოშობას იგი ეგრეთწოდებულ „პასატთა ცირკულაციას" უნდა უმადლოდეს.

— მე და უფროსმა თანამშრომელმა ალექსანდრე შევცოვმა, — თქვა მიხეილ კაზანსკიმ, — წამოვაყენეთ შემდეგი ჰიპოთეზა. ჰოლფსტრიმის ტალღისებრი ხასიათი და დინებათა პულსაცია დაკავშირებულია ატმოსფერული წნევის შეცვლასთან აზორის მაქსიმუმის (აზორის კუნძულებზე გადიდებული წნევის რაიონი) ცენტრში. როცა ეს მაქსიმუმი კლებულობს, დინების ღერძი სწორდება, ხვეულების სიდიდე კი კლებულობს — და პირიქით.

მ. კაპლინი.

უკანასკნელი ტურის წინ

გუშინ მოსკოვში გაიმართა პროფკავშირთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა ტური. მსოფლიოს ჩემპიონმა პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნეისთან და 10 ქულით ფაქტიურად უზრუნველყო პირველი ადგილი. ბოლესლავსკიმ მოუგო ესტრინს. იგი ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება.

კალათბურთელთა ჩემპიონატი

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში. რიგის ჯგუფში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ცსკა-ს ვაჟთა გუნდმა დაამარცხა მოსკოვის „დინამო" 100:59, ნოვოსიბირსკში რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა — მოსკოვის „სერპ ი მოლოტი" 64:43.

კომუნისტი სპორტი

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ძალადაკარგულად ცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 5 თებერვლის ბრძანებულება „შუა აზიის ეკონომიური რაიონის შექმნის შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. მ. გუშჩინი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 25 დეკემბერს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

დაგეძებ და ვერ გპოულობ

• ფელეტონი •

რედაქციაში ის-ის იყო მოიტანეს ახალი ფოსტა. — პატივცემულო რედაქციავ, — წერდა თბილისელი დიასახლისი ა. თავაძე, — ამას წინათ შევიძინე სარეცხი მანქანა „ბათუმი-59". მანქანას, პატივცემულო რედაქციავ, დიდი მზრუნველობით ვუვლიდი, რადგანაც არ მინდოდა გაფუჭებულიყო. მაგრამ ჩემი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. გარკვეული დროის შემდეგ, მანქანა მწყობრიდან გამოვიდა. ვაჩვენე ხელოსანს და მითხრა, შიდაღერძის რგოლია დაზიანებულიო. ერთი წელია, დავდივარ მაღაზიიდან მაღაზიაში. არა და არ იქნა ამ ნაწილის შოვნა. ნუთუ?..."

წერილის კითხვა დიდი ხნის უნახავი მეგობრის შემოსვლამ გამაწყვეტინა. ჩემმა მეგობარმა შარშან დაამთავრა გემო-კვების სასწავლებლის ტორტმცოდნეობის ფაკულტეტი „ნაპოლეონის" სპეციალობით და როგორც თვითონ ამბობს, არჩეული პროფესიისადმი შემოქმედებითი მიდგომით ერთ-ერთი მზარდი, ნიჭიერი და ჩუმი მუშაკის სახელი მოიხვეჭა. მომეჩვენა, რომ მეგობრის ნაამბობში იყო რაღაც ჩემთვის უფრო საინტერესო, ვიდრე სარეცხი მანქანა „ბათუმ-59"-ის სათადარიგო ნაწილები, და დიასახლისისათვის პასუხის გაგზავნა ცოტა ხნით გადავდე. მეგობარი მიამბობდა, რომ კრემიდან გარდა კრენდელისა შეიძლება გაკეთდეს „ოლეგ პოპოვი", ბურატინო და მანქანის საბურავები. — კრემიდან შემიძლია გავაკეთო მოტოციკლი (თავის სათადარიგო ნაწილებიანად) და ზედ შევსვა დათუნია ფოჩიანი კამფეტით ხელში, — ამბობდა იგი და რატომღაც ხშირად ავიწყდებოდა, რომ ჩვენი საუბარი კრემის ნაწარმის შესახებ ძირითადად ტორტის ფარგლებში იყო მოქცეული.

შესვენებაზე გამახსენდა, რომ უნდა მეყიდა ბურთულიანი ავტოკალამი, აგრეთვე პატარა ჩაგრულა ელექტრონული პირსაპარსისათვის. ჩაგრულა გუშინწინ ქარმა მოიტაცა ჩემი ფანჯრის რაფიდან. დავიხურე ქუდი და დავუყევი თბილისის ქუჩებს.

ერთ-ერთ უნივერსალურ მაღაზიაში ავტოკალამს დავწვდი და გამყიდველს ვკითხე:

— ბურთულიანი არ არის?

გამყიდველმა მოუსყიდველი თვალებით შემომხედა და სერიოზულად მიპასუხა:

— ჩვენთან არ მუშაობს.

— მე ბურთულიან ავტოკალამზე გეკითხებით. უფრო გამძლე და პრაქტიკულია. მელანს მომჭირნეობით ხარჯავს, თანაც იმ ავტოკალამით მატარებელშიც კი შეგიძლია წერო.

გამყიდველმა შემომხედა და არაფერი არ მიპასუხა. ამ შემთხვევაში უსუსურად მომეჩვენა გამოთქმა — „დუმილი თანხმობის ნიშანიაო", და გაცლა ვამჯობინე.

მეორე უნივერსალურ მაღაზიაში მეორე გამყიდველს ჩაგრულა ვთხოვე. გამყიდველმა ისე მკაცრად მიპასუხა, მე თვითონ დავეძებ და ვერ მიშოვნიაო, თითქოს მას უფრო მეტი უფლება ჰქონდა მოეთხოვა ჩაგრულა და საერთოდ ყოველგვარი მოწყობილობა.

მაღაზიის ლამაზად გაფორმებულ თაროებზე ისე თავმომწონედ ისხდნენ სხვადასხვა ფასისა და სიდიდის მტვერსასრუტები, ბროლის თასები და ტორშერები, რომ ჩემს თავს ვუსაყვედურე, ღვთის წყალობით სავსე ასეთ უზარმაზარ მაღაზიაში შენ რა ჩაგრულა აგიტყდა-მეთქი.

უეცრად მაღაზიაში შემოვარდა ახალგაზრდა. ნერვიულად მიმოიხედა, იტაცა ჯიბეში ხელი, ამოიღო მანეთიანი, დახლზე დააგდო, მერე ფოლცხვერივით შეხტა დახლზე, ჭერზე დაკიდებულ ჭაღს მისწვდა, ნათურა ჩამოხსნა და ის იყო გასასვლელისაკენ კამარა შეჰკრა, რომ გამყიდველმა იყვირა:

— არ გაუშვათ!

რა თქმა უნდა, არ გავუშვით.

აქტივისტი მომხმარებლები მოვიშველიეთ და ნათურაზე მონადირე გათოკილი შევაბრძანე სექციის გამგის კაბინეტში.

— ყაჩაღია, — თქვა მოხუცმა პენსიონერმა, რომელმაც ჩემთან ერთად დიდი როლი ითამაშა დამნაშავის დაკავებაში.

მე კი, როგორც საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა, ოქმში ჩავწერე: „ამა და ამ დღეს მაღაზიაში დავაკავეთ ყაჩაღი (ანუ რაც იგივეა — ქურდი), როცა ცდილობდა დღისით, მზისით 127-ვოლტიანი სახელმწიფო ნათურის მოტაცებას".

— დიდი ხანია ამ გზას დაადექ? — ვკითხე გზაზე.

— დღეს პირველად...

— გიცნობთ, გიცნობთ, ვაჟბატონო, თქვენ რომ ჩავარდებით, ყველანი: „დღეს პირველად"... ვერ მომატყუებ, — გავიფიქრე მე, და ასევე გაიფიქრებდა ყველა თქვენგანი.

— ერთი თვის წინათ ცოლი შევირთე, — დაიწყო მან, — სამსახურში ახალი ბინით დამასაჩუქრეს და იმ დღიდან დაიწყო ყველაფერი.

დამნაშავეს იმ წუთში ისეთი ადამიანური სახე ჰქონდა, რომ არ შევაწყვეტინე, თანაც მისთვის სულ ერთი იყო, ვუსმენდი თუ არა.

— გადავწყვიტე შემეძინა ოჯახისათვის აუცილებელი ნივთები, ცოტა იაფი და თან გამძლე. ჩვენს მაღაზიებში დღესდღეობით არ იშოვება ფაიფურის უბრალო თეფშები, მომინანქრებული ქვაბები; ვერსად იყიდით ჩაიდანს, ღვინის ჭიქებს, ჩაის ლამბაქებს, თუჯის ტაფებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ ვიშოვნე წყლის გრაფინი, მაშინ როცა თაროები სავსეა ათასგვარი დეკორატიული სურებით. სცადეთ და იშოვნეთ სამმაგი შტეფსელი. უთოს დასადგამი რომ უთოს დასადგამია, ისიც კი იშვიათად გამოჩნდება მაღაზიებში. ნუთუ არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ჩვენს მდიდრულ უნივერმაღებში სხვათა შორის გამოულევლად იყიდებოდეს საგანი, რომელიც შეიძლება ყოველდღიურად გაცვდეს, გაგიტყდეს და ურომლისოდაც წყალსაც ვერ დალევ, სადილს ვერ დაამზადებ? რატომ არ უნდა იშოვნებოდეს სარეცხი მანქანის ან მაცივრის ნაწილები? ნუთუ ასე ძნელია სათანადო მაღაზიაში იყიდებოდეს მსუბუქი მანქანის აკუმულატორი, ამორტიზატორი, ძრავის ფილტრები, ელექტროგაყვანილობის მავთული, რეზინის სამუხრუჭე მანჟეტები, ფარების, პარპრიზის მინები?! საბურავების საშოვნელად ქორვაჭრების ხელში ვვარდებით, ხოლო მანქანის შასის შოვნის შანსი თვით მათაც კი არ გააჩნიათ. შვიდი დღეა დიოგენის ფანრით დავეძებ 127-ვოლტიან ნათურას. შვიდი ღამეა მთვარის სინდისზე ვართ. თბილისის თითქმის ყველა მაღაზია შემოვიარე. ყველამ უარით გამომისტუმრა. ცოლმა კი მკაცრად გამაფრთხილა, დღესაც უნათუროდ თუ დაბრუნდი, კარს არ გაგიღებო. იმ მაღაზიაში მოვკარი თვალი და ვეღარ მოვითმინე.

დამნაშავემ დაამთავრა.

თვალწინ მედგა ახალი ბინა, სადაც ღვინის ჭიქები და წყლის გრაფინი არა აქვთ. თვალწინ მედგა ულამბაქო ჩაის ჭიქა. თვალწინ მედგა გახურებული უთო უდასადგამოდ. თვალწინ მედგა უსაბურავო მანქანა უიმედოდ ჩამქრალი ფარებით. ღამდებოდა და ოთახში სიბნელეს ვერ ებრძოდა ელექტრობის უსინათლო თვალი — ერთადერთი ვაზნა, რომელიც ამაოდ ელოდა 127-ვოლტიან ნათურას.

— წადი, თავისუფალი ხარ! — გამოვუცხადე მას. ნათურა მივეცი და... იმ მანეთიანიდან ხურდაც დავუბრუნე!

იგი არ წავიდა. პასუხს ითხოვდა მის სახეზე დახატული მრისხანე კითხვის ნიშანი — ორი გაოცებული თვალი.

რ. მიშველაძე.

კვლავ გამარჯვება

სსრ კავშირის ჰოკეისტთა პირველი ნაკრები გუნდი ამთავრებს ტურნეს კანადაში. მეშვიდე მატჩი საბჭოთა ჰოკეისტებს ჰქონდათ საკლუბო გუნდ „ედმუნდ უოკინგსთან".

ჩვენმა ნაკრებმა კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად ანგარიშით 7:5. საბჭოთა ჰოკეისტები კანადაში კიდევ ერთ მატჩს გამართავენ, რის შემდეგ გაემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გაიმართება საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის, კანადის, ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთა მონაწილეობით.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

23 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ტრუბადური, რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — ჭინჭრაქა (მე-9 და გაცდენილი აბონ.), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტების კონცერტი, გრიბოედოვის სახელობის — საჭირო მატყუარა (მე-6 აბონ. მე-4 წარმოდგენა), მოზარდ მაყურებელთა ქართული — კონა (№ 39 აბონ. დილის 10 ს. და № 34 აბონ. საღ. 6 ს.), ძერჟინსკის სახელობის კლუბი — საესტრადო წარმოდგენა.

ტელევიზია

23 დეკემბერი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 „ჩხირკედელას სახელოსნო" (სტუდიაში მხატვარი მოქანდაკე ნელი ოქროპირიძე), 18.30 — კონცერტი პატარებისათვის, 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — განცხადებები, 19.10 — გადაცემა — „თბილისური მარკით მსოფლიოში", 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — ლიტერატურული გადაცემა, 20.30 — საესტრადო გადაცემა, 20.55 — მხატვრული ფილმი „დონური მოთხრობა", 22.30 — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

მოქალაქენო!

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართება საქართველოს სსრ 1964 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის (მეთორმეტე გამოშვების) მოგებათა ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება 172.500 მანეთის 103.500 ფულისა და ნივთების მოგება. ნივთმოგებათა შორის არის: ავტომანქანები „ვოლგა", „მოსკვიჩი", „ზაპოროჟეცი", საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოგზაურობისათვის, პიანინოები, მაცივრები, ტელევიზორები და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი და ფულადი მოგება.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად!

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან. 09-მდე რედაქტორის მოადგილეების —9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 3-46 10, განყოფილებებისა: პარტიული—9-87-61, პროპაგანდის—3-22-89, მრეწველობის—3-20-43, სოფლის მეურნეობის—3-32-46 საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16 90, უცხოეთის- 3-18-55, წერილების—9-73-24, ილუსტრაციის—3-19-99, განცხადებების—9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 11410 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.